№ 27

1877—1905

№ 27

სამშაბათი, 15 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 15 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა", რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ბარბარე სულხანის ასული თულაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ძვირფასის ქმრისა და მამის სტატსკი სოვეტნიკის

ივანე გაბრიელის ძის თულაშვილის

უეცრად გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ოთხშაბათს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, განსვენებულის ბინიდან (სერებრიანი ქ., საკუთ. სახლი). პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს $7^1/_2$ საათზე. (2—1)



ცირკი ძმათა ნიკიტინებისა.

სამშაბათს, 15 მარტს, დიდად საყურადღებო წარმოდგენაა 3 განყოფილებად. სხვათა შორის, ისეთი **კავკასიური ჭიდაობა იქნება,** რომლის მსგავსიც ჯერ არ ყოფილა. იჭიდავებენ ცნობილი მოჭიდავენი: სახელგანთქმული ჰერკულესი ფალავანი **რომო** და ცნობილი კავკასიელი ფალავანი **ჯიბგირი.** ჯილდო—25 მან. დამარცხებულად ის ჩაითვლება, რომელიც ორისავე მხრებით მიწაზე დაეცემა. ჭიდაობა გაიმართება მეორე განყოფილების ბოლოს. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (1—1)

გასტროლი ქუთაისის ქართული დასისა

არტისტიულ საზოგადოების თეატრში.
სამშაბათს, 15 მარტს 1905 წ.

ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან, **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** გამგეობითა და მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება

როზა ბერნდ

დრამა 5 მოქმ. ჰ. ჰაუპტმანისა, თარგ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. დავითიშვილი, რონელი, ივანიძე, მდივანი, გამყრელიძე, ურბნელი, ბ.ბ. **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი,** გამყრელიძე, აწყურელი, ბაქრაძე, გვარამე, ზარდალიშვილი, გრ. ჩარკვიანი, მურუსიძე და სხვა.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

რეჟისორი **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.**

საარტისტო საზოგადოების თეატრი-

ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება

კონცერტი.

ქართული საფილარმონიო საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. **სოფიო დ. დიასამიძისა,** კნ. ბარბარე მ. ამირაჯიბისა, კნ. ანასტასია ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ქალ. ბ. ტ. ზაგიუ ბბ-ნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირანოვიჩი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

ბილეთების ფასი 5 მან.-დან 70 კ. მოსწავლეთათვის 45 კ.

დასაწყისი საღამოს სრულ $8^1/_2$ საათზე

ბილეთბი იყიდება „საარტისტო საზოგადოების" კასსაში.

პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯდ. **ი. ა. სულხანიშვილი** (3—2).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лечебница д-ра Навасардiана.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კრონჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის [illegible] 34 Б.

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ მას სჭირია ჭიათურის საავადმყოფოში იყოლიოს **ბებია ქალი, მცოდნე ქართულის ენისა.** მსურველთ ამ ადგილის დაჭერისა საბჭო სთხოვს მიმართონ ქუთაისს, საბჭოს სახელზე. 3—6—3

გულწრფელობა.

ამ ათიოდე დღის წინად ტფილისის საბჭოს ხმოსანთა კერძო კრებაზე მომხდარი ინციდენტი დღეს დრო-გადასული და მოძველებულია. ჩვენ იმის გამო თავის დროზე გამოვთქვით ჩვენი აზრი და პირდაპირ და დაუფარავად დავაფასეთ იმ კრებაში მონაწილე ხმოსანთა მოქმედება. გადაწყვეტილი გვქონდა ეს საგანი აღარ გაგვეხსენებია,—სამუდამოდ დაგვევიწყნა, და ამიტომ აღარ დაგვიბეჭდია ის საპროტესტო წერილები, რომლებიც მრავლად მოგვივიდა პროვინციიდან და რომლებსაც, ტფილისის ხმოსნებისათვის უკმაყოფილების გამოსაცხადებლად, ასობით აწერენ ხელს სხვადასხვა ეროვნებისა და ხელობის კაცები,—მათ შორის, ბლომად სომხებიც.

გვინდოდა კრინტი აღარ დაგვეძრა ამ საგანზე, მაგრამ ეხლა სომეხთა რუსულმა პრესსამ დაარღვია თითქმის ორი კვირის დუმილი, ამოიდგა ენა და გვისაყვედურებს, ვითომ ჩვენ ძმობისა და ერთობის პრინციპს ვღალატობდეთ და ეროვნულ შუღლს ვაღვივებდეთ. ჩვენს მკითხველებს, რა თქმა უნდა, ასეთი საყვედური გააკვირვებს და გააოცებს, რადგან იმათ გაცნობილი აქვთ ჩვენი გაზეთის მიმართულება და იციან, რომ ეროვნული შუღლი და მტრობა შეუთანხმებელია იმ იდეალთან, რომელიც ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს და საზოგადოებისთვის გვიქადაგნია. მაგრამ რას იზამთ,—თურმე ცხადი და ნათელი სიტყვებიც არაა ზოგიერთებისთვის საკმარისი, როცა მათ, ქართული ანდაზისა არ იყოს, „გაღმა დადიოდებით" „გამოღმა" უნდათ შეინარჩუნონ…

გაზ. „Черном. Вѣстн."-ში (№ 6) ბ-ნი ტიროსიანი გვასწავლის, რომ ტფილისის საბჭოში მყოფი მსხვილი ბურჟუაზია არ არის სომეხ ერის წარმომადგენელი,—„მას სომეხ საზოგადოებასთან საერთო არა აქვს-რაო", და საბჭოს ხმოსნების „უტაქტო" მოქმედებისთვის „ივერიას" ყურადღება არ უნდა მიექციაო.

ბათუმიდან ლექციის მოუსმენლადაც ვიცოდით, რომ ორიოდ კერძო პირთა მოქმედებისათვის მთელი ხალხი არას დროს არ არის პასუხის-მგებელი და ჩვენც ფიქრად არ მოგვსვლია ტფილისის ხმოსანთა თანამგრძნობად დაგვესახა საერთოდ სომხის ერი. მხოლოდ ეს კი არ ვიცოდით, რომ გაზეთმა, რომელიც ყოველ დღე საზოგადოებრივ მოვლენებს ეხება, არ უნდა აღნიშნოს თურმე „უტაქტო" და „დასაგმობი" საქციელი…

ამას ამბობს ბათუმელი ბ-ნი ტიროსიანი, რომელიც ტფილისის ხმოსნებსა და სომხის ხალხს ერთმანეთს აშორებს და პირველთ მხოლოდ ბურჟუაზიის კლასის წარმომადგენლებად ასახელებს. სამწუხაროდ მას არ ეთანხმება მისივე თანამოკალმე «ტფილისის ფურცელში» (№ 49), რომელიც ტფილისის საბჭოს ხმოსნებს „სომხის ერის წარმომადგენლებად" სთვლის: მაგრამ ბ-ნი ტიროსიანი თვითონ მოურიგდეს თავის თანამოძმეს და ჩვენ მათს აზრთა წინააღმდეგობას აღარ შევეხებით.

შევეხებით მხოლოდ ბ-ნის გ. თ.-ის ბრძნულ „აზრებს", რომელიც მან გამოჰფინა კვირის გაზ. „ახალ მიმოხილვა"-ში. ვინც ამ მწერალს არ იცნობს, ვერ დაიჯერებს, რომ შესაძლებელი იყოს კაცმა ფაქტი ისე დააბნელოს და მასზე ისე კუდის ქიცინით გადაიაროს, როგორც ამას ბ-ნი გ. თ.-ი სჩადის. როგორც თვითონ გადმოგვცემს, 3 მარტს გამომჟღავნებული „настроеніе" ხმოსნებისა თურმე შემთხვევითი მოვლენა ყოფილა, რომელზედაც არ ღირდა ყურადღების მიქცევა. მაგრამ,—განაგრძობს იგი,—«აღსდგა ნაციონალიზმი განსვენებულ ველიჩკოს მეგობრებისა… ამ შემთხვევის მოვლენას ჩვენმა ნაციონალისტებმა დიდი მნიშვნელობა მიაწერეს, ღია კარებში იერიშით შესვლა იწყეს და დეპუტაციაში, გარდა სომხებისა, სხვა ერთა ხმოსნების არჩევაც მოითხოვეს".

თქვენის თვალით ხედავთ: თურმე ველიჩკოს მეგობრები ყოფილან ყველანი, ვინც „აღელვა" ისეთმა საქციელმა, რომელიც, თვით „მშაკ"-ისა და მრავალ სომეხთა სიტყვით, „უტაქტო" და „დასაგმობი" იყო…

„ყველას აინტერესებდა გაეგო,—განაგრძობს ქვევით ბ-ნი გ. თ.-ი,—როგორ შეხედავდა ამ ნაციონალისტთა ამაღელვებელ საკითხს თვით საბჭო. საბჭომ გადააჭარბა მათს მოლოდინს. მან ყველა ადგილობრივ ხალხთა წარმომადგენლები აარჩია, გარდა სომხებისა, რითაც სრული თვისი მიუკერძოებლობა სურდა დაემტკიცებინა. მართალია, დეპუტაციაში მოჰყვა ერთი ხმოსანი, რომელიც სომხების წარმომადგენლად ჩათვლა არას გზით არ შეიძლება. თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავის ოჯახურ ტრადიციებითა და შეხედულებით, არ არის ნაციონალისტი და ისევე დაახლოვებულია ქართველებთან, როგორც სომხებთან".

აი, ეს გახლავთ სიბრძნე ბ-ნის გ. თ.-ისა. მას და მის თანამოაზრეთ ეუბნებიან: ცუდად მოიქეცით, როცა კანდიდატებად მხოლოდ ერთი ხალხის შვილნი დაასახელეთ, სხვებიც უნდა დაგესახელებინათო. ის გიპასუხებთ, თქვენ ველიჩკოს მეგობრები ხართო. თქვენ კრინტს არ სძრავთ კომისიის არც ერთი წევრის მიმართულების გამო, მის ნაციონალისტობისა გინდ კოსმოპოლიტობის შესახებ და ეუბნებით, რომ უბრალო ზრდილობის წინააღმდეგიც კია ისეთ საყურადღებო საქმეში თავის თავს გარდა სხვა ყველასი დავიწყებაო. ისკი წარბ-შეუხრელად მოგახსენებთ: აი, აგერ ავირჩიეთ ჩვენის მხრით ისეთი კაცი, რომელიც არც სომხების მტერია და არც ქართველებისო; მაშასადამე, ჩვენ, სომხებს წარმომადგენელი არა გვყავსო.

ხომ გაიგეთ, მკითხველო, როგორ ესმის თ-დ გ. თ.-ს „წარმომადგენლობა"? თურმე ნამდვილი წარმომადგენელი ის არის, ვინც მხოლოდ თავის ეროვნების ინტერესებს იცავს. იმავე გ. თ.-ის აზრით, წარმომადგენლები ჰყავთ ქართველებს, რუსებს, თათრებს,—არ ჰყავთ მხოლოდ სომხებს, რადგანაც „თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი არ არის ნაციონალისტი და ერთნაირად დაახლოვებულია ქართველებთან და სომხებთან". აქედან ლოღიკური დასკვნა? იკითხავთ თქვენ. აი მიირთვით: ბ-ნნი ოსტროგორსკი, ახუნდოვი და მიქელაძე, რომელნიც აირჩიეს კომისიის წევრებად, „ნაციონალისტები" არიან და სომხების ინტერესების წინააღმდეგნი იქნებიან…

ამას ამბობს უსიტყვოდ გ.—თ.-ი და არ გრძნობს, რომ არჩეულ პირებს შოვინისტურ მიდრეკილებებს აწერს და უნდობლობას უცხადებს… ასე მოუვა ხოლმე კაცს, როცა ფრაზების მორევში შესცურავს…

და რა არის აქ ამდენი სალაპარაკო? რა საჭიროა, მწერალმა ლოღიკას ასე აშკარად უღალატოს და თავისი თავი და მკითხველიც აწვალოს? ნუ თუ იმდენი მოქალაქობრივი გაბედულობა არ უნდა გვქონდეს, რომ შეცდომა შეცდომად ვაღიაროთ და საგანს თავისი ნამდვილი სახელი ვუწოდოთ? განა ეს უფრო ხელს არ შეუწყობს ურთიერთობის გამორკვევას, ერთმანეთთან დაახლოვებასა და დამეგობრებას? განა მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკითა და მოქმედებით შეიძლება ნდობის მოპოვება და საიმედო დამოკიდებულების დამყარება?

არა, ეს არ შეიძლება. და სწორედ ის პირები ღალატობენ ძმობისა და ერთობის იდეალს, რომელნიც მალულობიას თამაშობენ და, როგორც თავის შეცდომას, ისე სხვის დასაგმობ საქციელს გულწრფელად არ აღიარებენ და არ ამჟღავნებენ.

გულწრფელობა აუცილებლად საჭიროა ძმობა-მეგობრობის იდეალის განსახორციელებლად!

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საგენტოებისაგან)

13 მარტი.

მოსკოვი, 12 მარტი. იმ ქალებმა, რომელთაც მოსკოვის საგუბერნიო საერობო კრებაში წარადგინეს განცხადება უფლებათა გათანასწორების შესახებ, გადასწყვიტეს, ასეთივე განცხადება ყველა გუბერნიის საერობო კრებებს გაუგზავნონ. ექიმების თხოვნით, სამხედრო ოლქის საექიმო მართველობაში არსდება ცალკე კომისია იმ ბოროტმოქმედების გამოსაკვლევად, რომელიც ჰოსპიტლებში სამხედრო სამსახურში მიღების დროს ხდება.—მოსკოვის პედაგოგიურ საზოგადოების კრებამ საჭიროდ სცნო, პოლონეთის სასწავლებლებში სწავლა სწარმოებდეს პოლონურ ენაზე.

ჰააგა. მთავრობა ორ გემს ჰგზავნის ვენეცუელაში, რომ ამნაირად კასტროს ნიდერლანდების მოთხოვნა შეასრულებინოს.

სოფია. მაკედონელთა მოძრაობის მეთაურები გენერალი ცონჩევი, პოლკოვნიკი იანქოვი და პოდპოლკოვნიკი ნიკოლაევი ამზადებენ დიდ აჯანყებას, მაგრამ დაწვრილებით ჯერ არ ამბობენ არაფერს.

ბელგრადი. სამხედრო მინისტრის ბძანებისამებრ, ამიერიდან იარაღის, ზარბაზნების და ტყვია-წამლის შეძენის შესახებ მთავრობამ უნდა გამართოს ხოლმე მიწერ-მოწერა პირდაპირ ქარხნებთან და აგენტებთან საქმე აღარ დაიჭიროს.

ბელგრადი. გაზ. „პოლიტიკაში" ერთი აფიცერი აცხადებს, რომ მთელი აფიცრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა მაკედონიის აჯანყებაში, მაგრამ სამისოდ მთავრობის რჩევასაც ითხოვს.

კანეა. პრინც გიორგის შესახებ უკმაყოფილებამ იჩინა აშკარად თავი. აჯანყებულებსა და ჟანდარმებს ერთმანეთში შეტაკება მოსდით, ამიტომ საერთაშორისო ჯარის უფროსი ჯარის მომატებას ითხოვს.

სტამბოლი. ადმირალი პეტრუსოვი, ავსტრიის ესკადრის უფროსი, გუშინ მთელის თავის ამალით

ბანელი აფიცერი და უნტერ-აფიცერი წავიდა ალბანიაში, სადაც დიდი მოძრაობა მზადდება. ასევე აპირებენ მოქცევას იღდიზში მოსამსახურე სხვა ალბანელებიც.

14 მარტი.

მოსკოვი. სასტატო ინსტიტუტში გაფიცულ 70 მსმენელთაგან 30-მა ისევ სწავლა დაიწყო. გაფიცულები თხოულობენ იმათ ხელ-ახლად მიღებას ინსტიტუტში. დღეს ქალაქის საბჭოში მოგროვდა 800 ქალაქის მასწავლებელი მოსალაპარაკებლად თავიანთ იურიდიულ და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

ვიბორგი. გუბერნატორი მიასოედოვი უკეთ შეიქმნა, თუმცა შეიძლება უარესობაშიაც ჩავარდეს ისევ. ექიმობს ადგილობრივ სამხედრო ლაზარეთის უფროსი ექიმი. ის კაცი, რომელსაც უნდოდა გუბერნატორის მოკვლა, არ მალავს, რომ განთავისუფლებას მოელის უთუოდ,—ან გავიქცევი და ან ამხანაგები ააფეთქებენ საპატიმროს და გამანთავისუფლებენო.

კიევი. კიევის, პოდოლსკის, ჩერნიგოვის და ხერსონის გუბერნიების ექიმთა თათბირი მოხდა. ეს ექიმები შეგროვდნენ ხოლერის შესახებ ლექციების მოსასმენად, რომელსაც კითხულობდნენ უნივერსიტეტის პროფესორები ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები, საავადმყოფოების გამგე ექიმები და სანიტარო ექიმები. მოკლე ვადიან კურსების დაარსებასაც აპირებენ სანიტარების მოსამზადებლად. გამოითქვა სურვილი, რომ სანიტარები დაზღვეულ იქმნენ სიკვდილისაგან.

ბახმუტი, 13 მარტი. საერობო და სამთამადნო უწყების ექიმებმა გადასწყვიტეს, სთხოვონ გუბერნატორს, შუამდგომლობა გასწიოს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ უბრძანოს მღვდლებს აუხსნან მრევლს, ხოლერობის დროს ნდობა გამოუცხადონ სოფლის ინტელიგენტებს, ნამეტნავად ექიმებს.

პეტერბურგი, 13 მარტი. ნაბძანებია წელს მოუწოდონ სავარჯიშოდ სათადარიგო ცხენოსანთა ჯარის პრაპორშჩიკებს და განათლებით პირველ ხარისხის სალდათებს; პირველად მოიწვევენ იმ პრაპორშჩიკებს, რომლებმაც 1903 და 1904 წლებში მოიხადეს სამხედრო ბეგარა და 1904 წ. დაბალის ხარისხით სათადარიგო ჯარში ჩაირიცხნენ; აგრეთვე იმ თავის ნებით ჯარში შესულებს, რომელთაც კენჭი 1900 წ. ამოიღეს და რომლებმაც 1903 და 1904 წლებში მოიხადეს სამხედრო ბეგარა. მერედ—მოუწოდონ იმ პრაპორშჩიკებს, რომლებმაც 1896 და 1898 წ. მოიხადეს სამხედრო ბეგარა და 1898 წ. კი დაბალ ხარისხათ სათადარიგო ჯარში ჩაირიცხნენ; მოუწოდონ აგრეთვე იმათ, ვინც 1895 წ. ამოიღო კენჭი და 1897 და 1898 წ. თავის ნებით იმსახურა.—იმ კომისიას, რომელიც შესდგა ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებელ პირობათა გამოსანახავად, პირველი სხდომა 15 მარტს ექნება. „ტორგ.-პრომ. გაზეთის" სიტყვით, ომიანობისაგან გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად, ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა, იმ მოხელეებს, რომელთაც წელიწადში 600 მანათზე მეტი ჯამაგირი აქვს, კიდევ 2% დაუჭირონ. აგრეთვე მოუმატონ გადასახადები: მამულების ერთი ხელიდან მეორეში უსასყიდლოდ გადასვლის გადასახადს—50%, საჰქციზო გადასახადს ღუდზე $3^1/_2$%, წუმწუმაზე 100%, შინაურ წარმოების პურის ცომზე (დროჟი) 100%, საზღვარ გარეთისაზე—71%, და ნავთის ყველა ნაწარმოებზე ფუთზე სამი აბაზი დაედოს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საააგენტოებისაგან)

14 მარტი.

ტოკიო, 13 მარტი. ოფიციალური. რუსების ჯარმა, რომელიც ხინკინგის მახლობლად იდგა, დაიხია სუილუნჩონისკენ, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ 90 მილის მანძილზე, სანტუს მახლობლად. უინჩიაძიში, რომელიც იაპონელებისაგან ახლად დაჭერილ ფაკუმენისაგან აღმოსავლეთ ჩრდილოეთისკე 23 მილის მანძილზე არის, თითქმის აღარ სჩანან რუსები, მხოლოდ აქა-იქ შეგხვდება პატარ-პატარა რაზმები.

გუნჯულინი, (ბერლინით). „კელნიშე ცაიტუნგის" ცნობით, იაპონელების სატევი მოქმედება აფიქრებინებს ადამიანს, რომ ალბად რუსებზე იერიშის მიტანას აპირებენო. იაპონელები აღმოსავლეთით გარს რომ უვლიან რუსებს, იმის ნიშანი არის, რომ ალბად გირინის აღება უნდათო. იაპონელების გალაშქრება ვლადივოსტოკისაკენ ალბად მხოლოდ სამხედრო დემონსტრაცია იყო. ამ თვის ათს ლოჟენგენთან ბრძოლა იყო. გაზეთის აზრით, ოიამას აღმოსავლეთისაკენ გადაჰყავს თავისი ჯარები, ალბად იმ მიზნით, რომ გადასჭრას გზა, მიმავალი ხარბინიდან ვლადივოსტოკისაკენ. აღმოსავლეთისაკენ დიდძალი ჯარი სდგას, დასავლეთისაკენ ძლიერი ცხენოსანი რაზმები.

ლონდონი (რეიტ.), 13 მარტი. წარსულს სამშაბათს ოიამამ «რეიტერის» კორესპონდენტი მიიღო. მას არ სურდა ბაასი ზავის შესახებ იმ მიზეზით, რომ მე ჯარის კაცი ვარ და არა პოლიტიკოსიო. რუსის აფიცრებისა და ჯარის კაცთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხსენიებს. რუსებს ოიამა მაღლა აყენებს ჩინელებზე, რომლებსაც იაპონიამ $1^1/_2$ დივიზიით 5 საათის განმავლობაში პორტ-არტური წაართვა. ოიამამ იაპონიის ლაშქრის მომავალ ბრძოლის გეგმაზე არა სთქვა-რა, ის კი განაცხადა, ჯარი მზად არის იმდენ ხანს იბრძოლოს, რამდენიც საჭირო იქმნებაო. ოიამა ჯანმრთელად არის.

სუეცი, 13 მარტი. წყნარ ოკეანეს ყველა გემები ჩრდილოეთად წავიდნენ.

ტოკიო (რეიტ.), 13 მარტი. მუკდენიდან კაირონამდე რკინის გზაზე მოძრაობა განახლდა. ხიდი ხუნხეზე მოკლე ხანში იქმნება შეკეთებული.

ხარბინი, 12 მარტი. შანჰაის გაზეთები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ რუსების წინააღმდეგ იმის გამო, რომ საზღვაო უწყებათა სასამართლომ თავის ნებით გაარჩია მატროსების დიაკისა და აგეევის საქმე, რომელთაც ჩინელი ჯოუსენიუ მოჰკლეს. ჩინელები თხოულობდნენ მკვლელების გასამართლების დროს ჩინელი მსაჯულებიც მოეწვიათ და დამნაშავენი თვით ჩინელებისათვის გადაეცათ. შანჰაის დაოტაიც ამასვე თხოულობდა. რუსეთის ელჩმა უპასუხა, რომ თუ ჩინეთის მოხელეებს არ უნდათ დაესწრონ რუსის სასამართლოში, როგორც მაყურებლებს, მაშინ სასამართლო უიმათოდაც დაადგენს განაჩენს რუსეთის კანონების მიხედვითაო. ამ მკვლელობის გამო ჩინეთის ვაჭრებმა მიტინგი გაჰმართეს, რომელსაც 2 ათასი კაცი დაესწრო, და გადასწყვიტეს დეპეშით სთხოვონ ვაივუნუსა და ნანკინის ვიცე-კოროლს, რომ საკითხი სასურველად გადასწყვიტონ, შეატყობინონ ჩინეთის მთავრობას საერთო უკმაყოფილებისა და საქმის სასურველად გადაწყვეტამდის რუს-ჩინეთის ბანკისადმი ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. როგორც ვუწყით, რუსის სასამართლომ აგეევს ოთხის წლით მაღნებში მუშაობა მიუსაჯა, დიაკი კი გაამართლა.

გუნჯულინი, 13 მარტი. დეპეშებს მოკლებული ჯარი გაზეთბით-და ცხოვრობს. „მანჯურიის ჯარის უწყება“-მ სტამბის ნახევარი დაჰკარგა და აღარ გამოდის. ყველა მოელის გაზეთებს რუსეთიდან და თხოულობენ, იგზავნებოდნენ საავადმყოფოებსა და შტაბებში. იაპონელები მოლოდინში არიან, ცდილობენ გაიგონ ჩვენი განზრახვანი. ჩინელების სიტყვით, იაპონიის ერთი რაზმი გირინისაკენ მიდის. იაპონიის ურმების ერთი ნაწილი მუკდენში დაბრუნდა. სინმინტინი იაპონელებს უჭირავთ და ჩრდილოეთისაკენ მოძრაობას აძლიერებენ. განუწყვეტელ ბრძოლისა და მოძრაობის მიუხედავად, ჯარის მდგომარეობა სანიტარულ მხრივ ჩინებულია. გადამდები ავადმყოფობა არ არის. ჯარმა დაისვენა. გენერალმა ლინევიჩმა რუსეთიდან ახლად მოსული ჯარი თამამად და ჯანსაღად გამოიყურება.

პარიზი. ფრანგულ გაზეთთა პეტერბურგელ კორესპონდენტების ცნობების მოხებით, მშვიდობიანობის იდეამ ბევრი მომხრე შეიძინა, როგორც საზოგადოებაში, ისე მმართველ წრეებში.

გუნჯულინი, 13 მარტი. ჯარები თანდათან იჭერენ ახალ პოზიციებს და ერთი-ერთმანეთში კავშირს ანახლებენ. ჩამორჩენილი ჩვენი ხალხი და ბარგის ურმები უკან ბრუნდებიან და ჩვენი ჯარი თავიანთ ნაწილებს უერთდებიან. ხმები გავრცელდა, რომ ჩვენ მარჯვენა ფლანგზე, მამიკაის მიდამოებში, გაჩნდნენ ხუნხუზთა ბრბოები.

ხანკოუ, 13 მარტი. მცხოვრებლები აღელვებულნი არიან და უნდათ მოსპონ ის ხელშეკრულობა ხანკო-კანტონის გზის შესახებ, რომელიც დაუდეს ამერიკელებს და ამათ კი ბელგიელებს დაუთმეს. მცხოვრებლები თხოულობენ, გზის გაკეთება ჩინელებს მიენდოთ. შეერთებულ შტატებს არ უნდა უარი სთქვას ამ ხელშეკრულობაზე. ვათნუპუმ ვიცე-კოროლს მიანდო ამ საკითხის გადაწყვეტას გულმოდგინეთ ადევნოს თვალ-ყური.

პეტერბურგი, 13 მარტი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 12 მარტის თარიღით. **პირველი**: წუხანდელმა ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. **მეორე**: დღეს ჯარში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. სადგურ შუანმიანზედ მიდიან მტრის პატარ-პატარა რაზმები.

ონვინგაი, 13 მარტი. ჯარი გამაგრებულ პოზიციებისკენ მიდის. ამათ ზურგიდან ძლიერი რაზმი იფარავს. გუშინ საღამოთი შუამიანზის ახლო მტრის ცხენოსანმა ჯარმა უკან დაახევინა ჩვენის მოწინავე კავალერიის ესკადრონს, მაგრამ დროზე მოვიდა მაშველი ჯარი და მტერი განვდევნეთ. დღეს დილით სარდალმა დაათვალიერა ჯარები და გულით მიესალმა მსროლელთა პოლკის იმ სალდათებს, რომლებმაც ხიშტებით რგოლივით შემორტყმული მტერთა ძლიერი ძალა გმირულად გაჰკაფეს და დროშა გაიტანეს. ამ რაზმიდან მხოლოდ 126 გადარჩა. ჯარი კარგ გუნებაზეა. გაზაფხულის დღეებია. 8 გრადუსი სიცხეა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთის ჯარის უკან დახევა. რუსები ფინხუნსიანამდე ავიდნენ. იაპონელებიც ფეხდაფეხ მისდევენ და 11 მარტს, როგორც გენ. ლინევიჩი იუწყება, სადგურ შუანმიაუზამდე ასულან. ეს სადგური ჩანტიფუს ჩრდილოეთითაა, 24 ვერსის მანძილზე (ტელინიდან 82 ვერ.). აქედან ფინხუანსიანამდე 24 ვერსია და, დღეს თუ ხვალ, გამოჩნდება, საით წავა რუსეთის ჯარი, პირდაპირ ხარბინისკენ (კუანჩენძისკენ), თუ მარჯვნივ, გირინისკენ გადაუხვევს და იქიდან მდინარე სუნგართან ავა. ამის გამოცნობას უცხოელები ეხლავე ცდილობენ.

„ტაიმს“-ი სწერს: ხმა დადიოდა, რუსები პირდაპირ ხარბინში წავლენო, მაგრამ ეს ამბავი იშვიათად თუ ვისმე სჯეროდა. ეხლა კი ეს ხმა სავსებით გამართლდა. სამხედრო საქმის მცოდნენი ამბობენ, რუსეთის ჯარის ნაწილი გირინისკენ გადაუხვევს, რენენკამფის რაზმს შეუერთდება და ვლადივოსტოკისკენ წავაო. დანარჩენი ჯარი კი ხარბინში ავა და რკინის გზას დაიცავსო. მოსალოდნელია, რომ ვლადივოსტოკისკენ მიმავალს რუსეთის ჯარს იაპონელები წინ გადაუდგებიან და ვლადივოსტოკში შესვლის ნებას არ მისცემენ.

ფრანგულ გაზეთებს ტოკიოდან აუწყებენ: მარშალმა ოიამამ გენ. კავამურას უბრძანა, ნაბიჯს მოუჩქარეო. კავამურამაც ნაბიჯს უმატა, გენ. რენენკამფის რაზმს გაცილებით გაუსწრო და გირინს მიუახლოვდაო (ნ.).

იაპონელები თავიანთ მარცხენა ფრთეზედაც ბეჯითად მოქმედობენ. გენ. ნოგიმ 3,000 ხუნხუზი წაიმძღვარა წინ და იმათ დახმარებით რუსების მოძრაობას მშვენივრად ადევნებს თვალყურს.

რუსეთის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, იაპონელებმა საკმაოდ დიდი ჯარი გაგზავნეს ჩრდილოეთისკენ ლიაოხეს ხეობით. ამბობენ, ადვილი შესაძლებელია, რომ დღეს-ხვალ ამ ჯარმა ჩვენს ჯარს უყელოს და გუნჯულინის მახლობლად გზა გადაუჭრასო. (ნ. დ.).

„რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ს. კ. სწერს: ეხლა კი გამოირკვა, რომ იაპონელები რუსეთის ჯარს დასავლეთიდანაც უვლიან. ამ მხრით მოდის იაპონელთა ორი რაზმი ლიაოხეს მარჯვენა ნაპირით, რკინის გზის დასავლეთით, 30—40 ვერსის მანძილზე. ერთი რაზმი 3 მარტს რუსების ცხენოსნებს შეხვდა მონგოლიის საზღვართან, შეებრძოლა და დაამარცხა. ეს რაზმი საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რადგან, როგორც გამოირკვა, ამ რაზმს ძლიერი ზარბაზნები აქვს. მეორე რაზმი სინმინტინიდან ფაკუმენტში (მონგოლიაში) ავიდა და მარტის 2 ჩრდილოეთისკენ გასწია.

„ბერლ. ტაგებ.“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება: იაპონელთა ძლიერი რაზმი რუსებს დასავლეთიდან უვლის და საცაა რკინის გზაზე ავა და რუსებს ხარბინის გზას მოუჭრისო (რ.).

„სტანდარტ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონელები რუსების უკანა რაზმებს არ უსვენებენ, ბრძოლაში გასვლას აიძულებენ, ამარცხებენ, ატყვევებენ, სურსათსა და იარაღს ართმევენ და ხშირად ფრონტს შეაცვლევინებენ ხოლმე. ეს კი რუსებს საქმეს ძალიან უჭირვებს და ჰქანცავს (რ. ვ.).

ტელინის აღება. გენ. კუროპატკინი იუწყებოდა, ჩვენმა ჯარმა, უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ, ტელინს თავი მიანება და ჩრდილოეთისკენ წამოვიდაო. ნამდვილად კი, როგორც ეხლა აღმოჩნდა, რუსებს ტელინის „უმნიშვნელო“ ბრძოლა ძალიან ძვირად დასჯდომიათ: ლონდონის გაზეთებს პეტერბურგიდან ატყობინებენ: მთავარ შტაბში ტელინის ბრძოლის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება მოვიდა, მაგრამ შტაბი ამ ცნობებს ჯერ-ჯერობით არ აცხადებსო. მოხსენებიდან სჩანს, რომ ტელინთან რუსები ხელმეორედ ძალზე დამარცხებულან. ჯარის ერთმა ნაწილმა ძლივს-ძლიობით დააღწია თავი და უთავბოლოდ გაიფანტა აქეთ-იქით. იაპონელებმა ამ ბრძოლის დროს ხელთ იგდეს აუარებელი ზარბაზანი და სურსათი. რუსეთის ჯარს ეხლა თითქმის აღარც ზარბაზნები აქვს და აღარც სურსათი (რ. ვ.).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: ბრძოლის ველიდან ამბავი მოვიდა, ტელინთან რუსები იაპონელებმა თითქმის მთლად გაანადგურეს, 10,000 კაცი დაუჰრეს, ბევრი დაატყვევეს და 80 ზარბაზანი და აუარებელი სხვადასხვა საქონელი წაართვესო. ბრძოლის დროს იაპონელებმა ყუმბარებით ცეცხლი მოუკიდეს ერთს სოფელს, რომელიც რუსების საქონლითა, თოფ-ყუმბარითა და სხვადასხვა მასალით იყო სავსე. ეს ამოდენა მასალა სულ გადაიბუგა; რუსებმა თან ბევრი საქონელი წაიღეს, მაგრამ იაპონელები წამოეწივნენ და დააყრევინეს (რ. ვ.).

გენ. კუროპატკინის დეპეშა. „პტი ჟურნალ“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: კუროპატკინმა მუკდენის ბრძოლის მეორე დღესვე პეტერბურგში დეპეშა გამოგზავნა და მთავრობას შეატყობინა: მე მხოლოდ 100,000 კაცი-ღა დამრჩა. იაპონელები არ გვეშვებიან და ხარბინის გზის მოჭრას მიპირობენ. ტელინში გამაგრება ძნელიაო. მართალიც იყო: კუროპატკინი ტელინში იაპონელებს იმიტომ შეებრძოლა, რომ მათი შეჩერება და დანარჩენ ჯარის გადარჩენა უნდოდა, მაგრამ იაპონელთა შეჩერება ძვირად დაუჯდა: ზარბაზნები და აუარებელი მასალა დაჰკარგა და მეორე დღესვე უკან გამოსწია (რ. ვ.).

იაპონელთა დავლა. „პტი პარიზიენ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ, აქ ჟამად იაპონიაში დაბინავებულია 100,000-ზე მეტი ტყვე რუსიო. (რ.).

„მატენ“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება: მუკდენის ბრძოლის დროს დატყვევებულთა გარდა თებერვლის გასულს იაპონიაში იმყოფებოდა ტყვე რუსი: 7 გენერალი, 5 ადმირალი, 661 აფიცერი და 30,228 სალდათი. გარდა ამისა, იაპონელებმა გაანთავისუფლეს 15,000-მდე პორტ-არტურელი მეციხოვნე. მუკდენის ბრძოლის შემდეგ მოიყვანეს 75,000 ტყვე, 48,000 ტყვე დააბინავეს მუკდენის მიდამოებში. ამბობენ, მუკდენის ჩრდილოეთით იაპონელებმა კიდევ 25,000 რუსი დაატყვევესო. ამ რიგად, ომის დაწყებიდან მარტის დამლევამდე, 13 თვის განმავლობაში, იაპონელებმა 195,000-მდე რუსი დაატყვევეს. (რ.).

მუკდენის ბრძოლის შემდეგ რუსეთის ჯარი სულიერად დაეცა, დაღონდა, გათახსირდა და გამარჯვების იმედი სულ აღარა აქვს. ბევრ ადგილას უკან მომავალი რუსეთის ჯარი იფანტება, იმალება და იაპონელებს ტყვედ ნებდება. ზოგან ჯარი ყველაფერს თავს ანებებს და ქუდმოგლეჯილი მორბის. „რუს. სლ.“-ის კორესპონდენტი, პოლკოვნიკი ობოლეშოვი, იუწყება: ლინევიჩმა ბრძანება გამოსცა, როგორმე მოახერხეთ და ჯარი შეაყენეთო (ნ.).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ასე ახასიათებს რუსეთის ჯარის მდგომარეობას მუკდენთან დამარცხების შემდეგ: დამარცხებული ჯარი აირია, რამდენსამე ნაწილად დაიყო, დაიქსაქსა, დაიფანტა და მირბის. ზოგ პოლკიდან—სამი ათას კაციდან—მხოლოდ 200 ან 300 კაცი დარჩა. კორპუსებს (ოცდა ათი ათასი კაცია) ნახევარი დააკლდათ. ზოგი კორპუსი უზარბაზნოდ, უიარაღოდ და უსურსათოდ დარჩა. რუსეთის მთელი ჯარი საცოდავ და საბრალო სურათს წარმოადგენს: ჯარი დაღლილ-დაქანცულია, ფეხშიშველაა; ჯარი დაიმშა, ძლივს მოძრაობს, ძონძებშია გახვეული და სანამ ეს ჯარის ლანდი ხარბინში ავა, სულ მთლად დაილევა. ამბობენ, ხარბინიდან ამ ჯარს ახალი ჯარი მოეშველებაო, მაგრამ ცხადია, რომ სანამ პაელე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენ (ვ.).

«სტანდარტ»-ს ტოკიოდან ატყობინებენ: რუსეთის ჯარს ბევრი სალდათი ჩამორჩა. უფრო მეტი გამოქცეულია. ესენი სოფლებში და ტყეებში იმალებიან და, დაინახავენ თუ არა იაპონელებს, ხელებს წინ იშვერენ, თეთრ ხელცახოცებს იქნევენ და ტყვედ ნებდებიან. აქა-იქ, გზის გადაღმა ბუჩქებსა და ტყეებში, აუარებელი სურსათი, იარაღი და ზარბაზნები ყრია (ნ.).

იაპონელები რუსებზე მეტნი იყვნენო, ასე ამბობენ რუსი პატრიოტები, როცა რუსები მარცხდებიან, მაგრამ ნამდვილად ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ რუსები იაპონელებზე მეტნი იყვნენ. საქმე სიმრავლეზე არ არის,—სწერს „რუს. სლ.“-ის კორესპონდენტი გარინი. აი, მაგალითებიც: იანვრის 15 სოფელ სანდეპუს, რომელიც ათიათასს იაპონელს ეჭირა, გრიპენბერგმა 60 ბატალიონი (60,000 კაცი) მიუსია, მაგრამ ვერას გახდა. მეორეჯერ ჩვენმა 60 ბატალიონმა ვერ აიღო სოფელი კუდიაძა, რომელსაც იაპონელთა რამდენიმე ბატალიონი იცავდა. 20 თებერვალს იაპონელთა სამი ბატალიონი ტაშიჩაოსთან გაჩერდა და თავის პოზიციების გამაგრებას მხოლოდ ერთი დღე მოუნდა. მეორე დღეს იაპონელთა სამ ბატალიონს ციმბირის პირველი კორპუსი (30.000 კაცი) მიესია, მაგრამ ვერას გახდა და უკანვე წამოვიდა. 24 თებერვალს იაპონელთა 4 ბატალიონის მიერ დაჭერილ სოფელს ტხენიტუნს კუროპატკინმა 25 ბატალიონი მიუსია, მაგრამ ეს სოფელი ვერ აიღო და უკუგდებულ იქმნა. ეს მაგალითები ცხადად ამტკიცებს, რომ სიმრავლე რუსებს გამარჯვებას ვერ მოუპოვებს. მიზეზი უფრო ღრმა უნდა იყოს და მისი მოსპობა ეხლანდელ დაჟანგებულ ბიუროკრატიას არ შეუძლია („რ. ს.“).

გენ. კუროპატკინი. გენ. კუროპატკინს მთავრობისთვის უთხოვნია, რომ ომის ბედი არა მწყალობს, დავიღალე, დავიქანცე და გემუდარებით, სარდლობა სხვას ჩააბარეთო. (ნ.).

„რუს. სლ.“-ის კორესპონდენტი გარინი იუწყება: ამბობენ, გენ. კუროპატკინმა კორპუსის უფროსობა ითხოვა, მაგრამ კორპუსის მაგივრად, მთელი არმია ჩააბარესო (რ. ს.).

„ლოკ. ანცეიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება: საცოდავი რამ არის ეხლა კუროპატკინი: თვალები ჩაუცვივდა. სახე გაუყვითლდა, წელში მოიხარა, ძალიან დარდობს და ყოველთვის დაღონებულიაო. (ნ.)

სხვადასხვა ამბები. პეტერბურგიდან „სტანდარტს“ ატყობინებენ: მანჯურიის ჯარის მთავარსარდლობა ჯერ დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოოზის ძეს შესთავაზეს, მერე გენ. სუხომლინოვს, მერე გროდეკოვს, მერე როპს, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა. დარჩა მხოლოდ ლინევიჩი, რომელიც დასთანხმდა და სარდლობა ჩაიბარა (რ. ს.).

„ლოკ. ანც.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: თებერვლის გასულს სამხედრო კრება მოხდა. კრებაზე გენ. დრაგომიროვი დაჟინებით თხოულობდა, ბრძოლის ველზე უეჭველად უნდა გავგზავნოთ გვარდიის სამი დივიზია, თორემ გვარდიელები განებივრდნენ და ტიკინებად გადაიქცნენო. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ბრძოლაში არისტოკრატმა გვარდიამაც ისეთივე მონაწილეობა მიიღოს, როგორსაც დემოკრატი არმია იღებსო (ნ.).

პეტერბურგში 9 იანვარს მომხდარ ამბების შემდეგ იაპონელები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს რუსეთის შინაურ ცხოვრებას და ხალხს ძალიან თანაუგრძნობენ. უბრალო ხალხი ამბობს, რუსეთთან ომი რომ არ გვქონდეს, ყველანაირად დავეხმარებოდით რუსეთის ხალხსა, მაგრამ ეხლა თანგრძნობის მეტი არაფერი შეგვიძლიანო. (რ.).

ახალი ამბავი

ტფილისის ტეხნიკურ სასწავლებლის შეგირდებს ვადა ჰქონდათ დადებული, რომ გუშინ უნდა გამოცხადებულიყვნენ და შეეტყობინებინათ სასწავლებლის უფროსისათვის, განაგრძობენ მეცადინეობას თუ არა. დაპირებისამებრ, შეგირდებმა მოიყარეს თავი სასწავლებელში და გამოუცხადეს: ამ დროს, როცა **ყოველს კუთხეში გამეფებულია უსამართლობა და ხალხის ჩაგვრა**, არ შეგვიძლიან უგრძნობლად დავრჩეთ და განვაგრძოთ სწავლაო. ამის შემდეგ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს სხდომა შესდგა. საბჭომ გადასწყვიტა: გადაყვანილ იქმნან შემდეგს კლასში ის შეგირდები, რომელთაც საიმედო ნიშნები აქვთ, ხოლო დანარჩენებს დაენიშნოთ ხელ-მეორედ გამოცდა სექტემბერში; ეთხოვოს მზრუნველს, რომ უფროს კლასის შეგირდებს მიეცეთ გათავების მოწმობა. სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ ეს გადაწყვეტილება წარუდგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

◆ ახალსენაკიდან „ცნ. ფ.“-ს სწერენ, გენერალ ალიხანოვის განკარგულებით, საჯავახოდან აქ **ერთი როტა სალდათი ჩამოვიდაო.**

◆ ფინანსთა სამინისტრომ აცნობა ქ. ტფილისის მოურავს, სახელმწიფო საბჭომ **გაანთავისუფლა ტფილისი იმ ჯარიმებისაგან**, რომელიც ქალაქზედ ირიცხებოდა საქალაქო დებულების შემოღებამდეო.

◆ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 15 მარტს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში, **ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ, ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობითა** და გამგეობით, წარმოდგენილი იქნება ჰ. ჰაუპტმანის ცნობილი პიესა „როზა ბერნდტ“. როზა ბერნდტის როლს შეასრულებს ახალგაზდა მსახიობი ქ-ნი ნ. დავითიშვილი, რომელიც თურმე საუცხოვოდ ასრულებს ამ როლს. იმედია, საზოგადოება მრავლად დაესწრება.

◆ 25 მარტს დანიშნულია საერთო კრება **ბეჭდვითი საქმის მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრებისა**. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის წევრები და შესცვალოს წესდება საზოგადოებისა.

ფელეტონი

ჩატეხილი ხიდი.

ამ დღეებში ბ-ნი ფრიდონი შეეხო „ივერიაში“ № (11) მოწაფეთა მდგომარეობას. ბ-ნი ფრიდონი აღნიშნავს რა ჩვენი სკოლისა და მოწაფეთა არა ნორმალურ მდგომარეობას, სთხოვს როგორც პედაგოგებს, ისე მშობელთ გამოსთქვან თავიანთი აზრიც ამ საჭირბოროტო საგანზე. ჯერ-ჯერობით არა-პედაგოგნი, ვგონებ, მეტსა სწერენ ჩვენი სკოლის შესახებ, ვიდრე მასწავლებელნი. საჭიროა, თვითონ მასწავლებლებმაც ამოიღონ ხმა. უნდა ამოიღონ ხმა იმიტომ, რომ საქმეს პირდაპირ სათავეში უდგანან და სკოლის ავკარგი იციან.

ბ-ნი ფრიდონი კითხულობს: 1) რა არის მიზეზი, რომ სასწავლებლებში მღელვარება და არეულობა დაიწყო; 2) ეს მიზეზები საერთოა მთელი რუსეთისათვის, თუ მხოლოდ ჩვენის კერძო ცხოვრებით არის გამოწვეული; 3) რამდენად არიან დამნაშავე ამ საქმეში ჩვენი საერთო ცხოვრება, სასწავლებლების ადმინისტრაცია, პედაგოგები, არსებული წესები, პროგრამები და რამდენად თვით მოსწავლეები და მშობლები. ბ-ნმა ფრიდონმა ისე ფართოდ დააყენა კითხვები, რომ ამ მხრივ ამ კითხვებს, ვგონებ, ვეღარა მივუმატოთრა. საჭიროა, როგორც პედაგოგებმა, ისე იმ მშობლებმა, რომელნიც ჩვენ სკოლას თვალყურს ადევნებდნენ, გამოსთქვან თავიანთი აზრი გულახდით, არ შეგვეშინდეს კრიტიკისა და საყვედურისა, ვინაიდან უცოდველი ამ ქვეყნად არავინ არის. ჯერ გავარჩიოთ მეორე და მესამე კითხვები და აქედან გამოყვანილი დასკვნა იქნება პასუხი პირველ კითხვაზე.

—

სასწავლებლებში მღელვარების მიზეზი ჩვენსა და რუსეთში ერთი და იგივეა, მაგრამ აქაური მიზეზები უფრო ფართონი არიან, ე. ი. საზოგადოდ მთელი რუსეთის სკოლების მღელვარების მიზეზებს აქ ემატება კიდევ ადგილობრივი მიზეზები, როგორც აღმოცენებულნი სრულიად დამახინჯებულ, ანტიპედაგოგიურ და მხოლოდ ჩვენთვის შეთხზულ სწავლა-აღზრდის პრინციპებზე.

ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებულმა კაცმა იცის, რომ ყრმათა აღზრდა სამ-მხრივი უნდა იყოს: ზნეობრივი, ფიზიკური და გონებრივი. მოაკელით ბავშვს ერთი რომელიმე მხარე აღზრდისა და რა გამოვა: ზნეობას მოკლებული ადამიანი თვით ცხოველზედაც უფრო დაბლა დგას, გონება გაუნათლებელი ბრმა არის, გონებითა და ზნეობით განვითარებული, მაგრამ ჯანითა და ღონით დავრდომილი—ემზგავსება ორთქლით მმოძრავ მანქანას, რომელიც ამმოძრავებულ ძალას,—ორთქლს,—მოკლებულია.

საღ სხეულში საღი სულიაო, ამბობდნენ ძველები. ამიტომაც არის, რომ ჭეშმარიტი პედაგოგია მოითხოვს, რომ სამივე მხარე ბავშვის არსებისა ჰარმონიულად ვითარდებოდეს, რათა ბოლოს საზოგადოებამ მიიღოს ის მშვენიერი არსება, რომელსაც ადამიანი ჰქვიან. ყოველივე სკოლის მუშაობა სწორედ იმ მხრივ უნდა გაისინჯოს, თუ რამოდენად აღწევს ის მიზანს—ბავშვიდან ადამიანის შემუშავებას.

თუ ამ მხრივ გავსინჯავთ რუსეთის სკოლას, სამწუხაროდ, შემდეგ დასკვნას დავადგებით: სკოლა სისტემატიურად და „ჰარმონიულად“ ამახინჯებს და რყვნის ბავშვებს ზნეობრივ, ფიზიკურად და გონებრივად. რუსეთის სკოლა, როგორც სკოლა, არ არის ის «мастерская гуманности», რასაც ითხოვდა საზოგადოდ სკოლისაგან პედაგოგების საუკეთესო წარმომადგენელი კომენსკი. დღევანდელ სკოლის დანიშნულება ყოველმხრივი აღზრდა კი არ არის, უბრალო წვრთნა არის, ის წრთვნა, რომელსაც რუსები „დრესიროვკას“ ეძახიან. ესეთი მარტივი სისტემა აღზრდისა იმითია შესანიშნავი, რომ მის საშუალებით ბიუროკრატთა ლაშქარი დღითიდღე ძლიერდება სხვადასხვა სასწავლებლებში კურს დამთავრებულთაგან, რომელნიც არამც თუ არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ ბიუროკრატიას, არამედ მხარს უჭერენ მას ყოველსავე მოქმედებაში. ასეა დღეს დაყენებული საქმე აღზრდისა რუსეთის ყველა ჯურის სასწავლებლებში.

ეხლა გადავავლოთ ოდნავ თვალი ჩვენებურ სკოლას და მოკლედ მაინც დავახასიათოთ იგი. ეს მოკლე დახასიათებაც ნათლად დაგვანახვებს, რომ ჩვენი სკოლები სკოლები კი არა, პოლიტიკურ-პოლიციური დაწესებულებები არის. თუმცა რუსეთში სკოლა სრულიად ვერ აღწევს მიზანს, მაგრამ იქაური სკოლა გაცილებით მაღლა სდგას ჩვენებურ სკოლაზე: უმთავრესი უპირატესობა პირველისა მეორესთან იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის სკოლას, რაც უნდა დაბლა იდგეს იგი, მაინც ეროვნული ხასიათი აქვს, აქვს ნიადაგი სიმპატიური, საყვარელი. ბავშვი ხალისით მიდის სკოლაში იმ იმედით, რომ იგი გაიგებს იმას, რასაც მასწავლებელი ეტყვის.

ჩვენი სკოლა კი... რას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენებური სკოლა? ჩვენი სკოლა არის უარყოფა, აბუჩად აგდება არამც თუ ყოველი საღი პედაგოგიური პრინციპებისა, არამედ ყოველ საღი მოსაზრებისა, საანბანო ჭეშმარიტებისა. ჩვენს სკოლას, მეტადრე დაბალს, რომელი კბილიც უნდა გაუსინჯოთ, ყველა ჭიანი აქვს. ჩვენი სკოლა არ აძლევს თავის შეგირდებს არავითარ პრაქტიკულ ცოდნას. იგი აძლევს მოსწავლეთ მხოლოდ ცოტაოდენ თეორიულ ცოდნას, რომელიც ძალიან მალე ავიწყდებათ. ხალხი ხედავს ყოველთვის ამას და ეჭვის თვალით უყურებს დღევანდელ სკოლას, რომელსაც არც წარსული აქვს, არც აწმყო და არც მომავალი უჩანს. ყოველივე ახალი ცოდნა დამყარებული უნდა იყვეს მაგარ საძირკველზე. ჩვენს სკოლას დავიწყებული აქვს, რომ.

„თუ საძირკველი დანგრეულია,
„მაშინ კედლების აშენებისთვის,
„ყოველი შრომა დაკარგულია“.

ჩვენებური სკოლა მთელის თავის არსებობით და მიმართულებით იეზუიტების ცნობილ პრინციპს ემსახურება: „მიზანი ამართლებს ყოველსავე საშუალებას“; სასწავლებელს თავის იდეალად და მიზნად ბავშვების ყოველ მხრივი ჰარმონიული აღზრდა კი არა აქვს, არამედ მათი გადაგვარება. სკოლას ჩვენში ჩამოაცალეს ყველაფერი, რითაც იგი უნდა ყოფილიყო ნამდვილი სკოლა,—ქართული სკოლა.

პედაგოგია და საღი ჭკუა გვეუბნება: ბავშვის სწავლა-აღზრდაში და საზოგადოდ მის ბუნების განვითარებაში ყოველივე **ახალი** და **უცნობი** დამყარე ძველსა და ნაცნობზე, როგორც მკვიდრ საძირკველზე. ჩვენი სკოლა კი გვეუბნება ყველას, ეგ თქვენ როდი შეგეხებათ, ეგ სხვებზედ არის ნათქვამი, თქვენთვის კი, რათა რაც შეიძლება მალე დაადგეთ გადაგვარების გზას, საჭიროა, თქვენთვისვე მოგონილ „პედაგოგიის“ ძალით ყოველივე ახალი და უცნობი ახლითა და უცნობითვე შეისწავლოთ სრულიად გაუგებარ ენაზედო. ამიტომ დედა-ენა, როგორც საუკეთესო საძირკველი, განდევნილი უნდა იყოს სკოლებიდანო. მართალი გითხრათ, ისწავლით რამე თუ არა,—ეგ ჩვენი საქმე არ არის, არც სკოლა უნდა შევიდეს მაგის განსჯაში, სკოლის დანიშნულება სულ სხვა არისო.

საღი მოსაზრება და ნამდვილი პედაგოგია აუცილებელ საჭიროებადა ხდის, რომ ბავშვმა არამც თუ შესაფერი სწავლა, არამედ აღზრდაც მიიღოს, პირველი უმეორეოდ ცალმხრივი და ხშირად მავნებელი გამოდის. გაიხსენეთ დავ. გურამიშვილის ლექსიდან ის ადგილი, სადაც ის ამბობს, რომ უწრთვნელი შვილის ყოლას უწრთვნელი ძაღლის ყოლა სჯობიაო. რომ კერძოდ აღზრდა ბავშვისა სასურველ გზას დაადგეს, საჭიროა ბავშვის განვითარება თავიდანავე მშობლიურ ნიადაგს არ იყოს მოცილებული. მაგრამ, განა აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ სკოლაში, სადაც ბავშვისათვის ყოველივე უცხოა,—მასწავლებელიც, სასწავლო საგნებიცა და ნივთებიც? რა აღზრდა უნდა იყოს იქ, სადაც მთელი წელიწადები: ЭТО СТОЛЪ, ЭТО СТУЛЪ და ბევრ ამნაირებზე მიდის? ჩვენმა სკოლამ სრულიად ზურგი აქცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთ უსაჭიროესს მხარეს და ხმა მაღლა გაიძახის: ეგ სხვებზედაა ნათქვამი, თქვენ კი რაც უფრო ნაკლებ იქნებით განვითარებული ზნეობრივ და სხვა მხრივაც, მით უფრო მალე მიაღწევთ მიზანს.

საღი ჭკუა და ნამდვილი პედაგოგია კიდევ ბევრს რამეს თხოულობს, რაიცა სრულებითაც არ არის დაცული ჩვენ სკოლებში. მათი აღნუსხვა შორს წაგვიყვანს. ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით შემდეგ წერილებში, ეხლა კი ვიტყვით კიდევ, რომ ჩვენს სკოლას გამოაცალეს არამც თუ ეროვნული, არამედ ყოველნაირი ნიადაგი; იგი ჰაერში ჩამოჰკიდეს; ქარი, საიდაც უნდა, იქით აქანებს. გუშინ ერთის შეთუთხვნილი ხელი ჯიჯგნიდა მას, დღეს მეორესი, ხვალ მესამე წაავლებს ხელს. ამნაირად, თუ საზოგადოდ რუსეთის სკოლა რყევის მეტს ძვირად რამეს აკეთებდა, ამავე დროს ჩვენი სკოლები თან ირყეოდენ, თანაც კერძო საეჭვო პირების დამყაყებულ პედაგოგიურ, ხშირად პოლიციურ პრინციპების და კიდევ უფრო ხშირად კერძო პირთა ინტერესების საცდელ და დამაკმაყოფილებელ ასპარეზად ხდებოდნენ. სწორედ ამნაირმა მდგომარეობამ სამ მოწინააღმდეგე ბანაკად დაჰყო სკოლა, მასწავლებელი და შეგირდი. ამათ დღევანდელ პირობებში საერთო არა აქვთ-რა, მათი ინტერესები ერთმანეთს არ მიუდგებიან და ძალიან დაშორებულნი არიან ერთმანეთზე. სკოლას ბავშვი არ უყვარს, ბავშვს სკოლა და მასწავლებელი, მასწავლებელს—არც სკოლა და არც ბავშვი. აგვერია დავთრები და გონება ჩვენც, შეგირდებსაც და მშობლებსაც. როგორც ბაბილონის გოდოლის აშენების დროს, ჩვენც ეხლა დაგვეკარგა უნარი ერთმანეთის გაგებისა.

ხიდი ჩატყდა...

დროებით განჯელი.

◆ გუშინ ჩვენ გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ქალაქის საბჭოს მიერ პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტაცია პეტერბურგს სამშაბათს, 16 მარტს, მიემგზავრება. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, **ჯერ არ არის დანიშნული ვადა წასვლისა და, ვგონებთ, წასვლაც საეჭვოა.**

◆ **ტფილისის საყასბოების სალახებს შეუმუშავებიათ პროექტი სალახთა არტელისა** (ამქრისა) და ქალაქის ბეითლის ხელით ქალაქის გამგეობისთვის წარუდგენიათ. ქალაქის გამგეობამ ეს გეგმა განიხილა 11 მარტს და დაადგინა, გადასცეს ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიას, რომ კომისიამ თავისი აზრი წარმოადგინოს.

◆ გუშინ, 14 მარტს, ტფილისის ქალაქის მოურავმა, კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის **გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისაგან მილოცვის დეპეშაზე შემდეგი პასუხი მიიღო:** „გთხოვთ გადასცეთ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს თქვენს დეპეშაში გამოთქმულ გრძნობისთვის ჩემი გულწრფელი მადლობა. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც და მთელი ტფილისის ქალაქის საბჭოც საერთოდ მხარს მომცემთ ქალაქში მშვიდობიანობის დასამყარებლად".

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მისწერა ტფილისის გუბერნატორს წინადადება მისცეს ტფ. ქალაქის თვითმმართველობას, რადგანაც ქალაქს სალხარი არა აქვს, რომ ნავთლუღში არსებული ნავთის ქები ამუშაოს და რაიმე შემოსავალი მიიღოს, ეს **ადგილები ქალაქმა ხაზინას დაუთმოსო**. ქალაქის მოურავმა, მოისმინა რა გუბერნატორის მოწერილობა, აცნობა,—ნავთლუღის ნავთის ადგილები ქალაქის კუთვნილებაა და ამის საბუთებიც მოეპოვება გამგეობას; ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ეს ადგილები შემოსავალს არ იძლევა, უკვე გარდაწყვეტილია, რომ იჯარით გაიცეს და ამის მსურველნიც მოიპოვებიან, რომელნიც ქალაქს შემოსავლიდან წილს დაუდებენო.

◆ ქალაქის თვით-მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა საერო განათლების სამინისტროსთან,—თუ სამინისტრო შეუძლებლად სცნობს რაიმე მიზეზით ავლაბარში გიმნაზიის ან პროგიმნაზიის დაარსებას, **სამექანიკო-სატეხნიკო საშუალო სასწავლებელი** მაინც დაარსოს, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ სამთა-მადნო საგნების შესწავლაო. ამ საგნისათვის ქალაქი ჰპირდება ყოველ-წლიურ შემწეობასა და სასწავლებლისათვის საჭირო ალაგს.

◆ კვირას, 13 მარტს, დაასაფლავეს **სომხეთა ცნობილი კომპოზიტორი მაკარ ეკმალიანი.** განსვენებული 10 საათზე გამოასვენეს თავისს სახლიდან და მიასვენეს ვანქის ეკკლესიაში. წირვის დროს სიტყვა წარმოსთქვა არქიმანდრიტმა ბენიკმა. ეკკლესიიდან რომ წამოასვენეს, სომხეთა სასულიერო სემინარიის წინ მცირე პანაშვიდი გადაუხადეს. სემინარიის წინ სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ ბერინიანმა. იქიდან განსვენებული მიასვენეს ხოჯივანქის სასაფლაოზე, სადაც კიდევ სიტყვა წარმოითქვა. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო.

◆ კვირას, 13 მარტს, მოლნინის წმ. გიორგის ეკკლესიაში, პანაშვიდი გადაიხადეს სოფიაში (ბულგარია) გარდაცვალებულ სომხეთა ცნობილ **ნაციონალისტის ქრისტეფორე მიქაელიანის** სულის მოსახსენებლად. სიტყვები წარმოსთქვეს აგრონომ სააკიანმა, ჯ. ოჰანისიანმა, ნოჰრატიანმა და ერთმა გიმნაზიის მოსწავლემ. შემდეგ ქართველების მხრივ ქართულ ენაზე სიტყვა სთქვა ბ-ნ რატიშვილმა, რუსულ ენაზე სიტყვა სთქვა ერთმა ებრაელმაც. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ რედაქციამ მიიღო **ორი ახალი წიგნი:** „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან'', ა. წულუკიძისა, გამოცემა ქრთ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებისა. წიგნი შეიცავს 200 გვერდს და ღირს ათ შაურად. 2) ,,შილლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი'', ექიმ ივ. გომართელისა, გამოცემული ,,მუშაკის''-მიერ, შეიცავს 80 გვერდს და ღირს ერთი აბაზად. ორივე წიგნი ფაქიზად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

◆ ტფილისის პოლიციამ განკარგულება მოახდინა, რომ კვირაობით აღარ გამართონ ვაჭრობა სალდათის ბაზარში. პოლიციისავე განკარგულებით, ტფილისის მეპურეებს აკრძალული აქვთ პური ქუჩა-ქუჩა ატარონ გასაყიდად.

◆ ავჭალაში თავად გურამიშვილს აქვს სახნავი, სათიბი და საბალახე მამულები, რომელიც თათრებს ჰქონიათ იჯარით აღებული; ავჭალელებს ამ დღეებში თავიანთი საქონელი შეურეკიათ ხსენებულ ადგილებში და მოიჯარადრე თათრებისთვის გამოუცხადებიათ, აქ საბატონო ადგილები აღარ არის და ნება არა გაქვთ ამ მიწებით თქვენ ისარგებლოთო.

◆ ტფილისის სასანიტარო-საქმიო განყოფილების ექიმებს თხოვნით მიუმართავთ ქალაქის მოურავისათვის,—ჯამაგირები ძლიერ მცირე გვაძლევს და გთხოვთ იშუამდგომლოთ საბჭოს წინაშე, რომ მოგვემატოსო. ექიმები სთხოვენ მოურავს პასუხის დაჩქარებას.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობას ნაძალადევში სახლის მოიჯარადრეებმა განუცხადეს,—განაჩხვა გვაქვს აღარ ვაძლიოთ ქალაქს იჯარაო; ამასთანავე განაცხადეს, ამ დღეებში მოლაპარაკება გვექნება ქალაქის ადგილების მოიჯარადრეებს და შევატყობინებთ გადაწყვეტილებასაო.

◆ ავჭალის ქუჩაზე 13 მარტს, ღამის 12 საათზე, ტფილისის მოქალაქეს გაბრიელ ხაზიევს და თელავის მაზრის სოფელ წინანდლის მცხოვრებ ნიკოლოზ პავლეს ძე ქავთარაძეს ჩხუბი მოსვლიათ. ხაზიევს ქავთარაძე დანით დაუჭრია გულში და გაქცეულა, მაგრამ პოლიციელს შეუპყრია. დაჭრილი ქავთარაძე იქვე წაქცეულა, გონება დაუკარგავს და, როდესაც მიხეილის საავადმყოფოში მიჰყავდათ, გზაზე სული დაულევია. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის ცხოვრება

საურთიერთო ბანკის საქმეების გამოკეთების მოლოდინში. ხონიდან ლტოლვილ დირექტორის ამბავი. იმერეთის ახალი მართველი. ქუჩური „ობისკები“...

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის ახალმა გამგეობამ ამ დღეებში მიიღო პასუხი იმ შუამდგომლობისა, რომელიც მან გაგზავნა სამინისტროში წარსულის წლის 19 დეკ., არა-ჩვეულებრივ კრების დადგენილების თანახმად. სხვათა შორის, მაშინ გამგეობამ იშუამდგომლა, რომ სამინისტროს მოხდენილ ზარალის შევსების ვადა მიეცა. ამ ზარალის (500,000 მ-დე) აღდგენა კი იკისრეს წევრებმა 27% შეტანით ნაწილ-ნაწილად: 10% მარტამდე (შემოსულია ამ დრომდე 17,000 მან-დე), ხოლო დანარჩენი სამ ვადათ თითოეულ 6 თვის განმავლობაში 1 იანვრიდან 1905 წ.

აი, რას სწერს გამგეობას ფინანსთა მინისტრი მათ შუამდგომლობაზე: „მივიღე რა მხედველობაში მეტად დაჩაგრული მდგომარეობა სავაჭრო-სამრეწველო საქმეებისა, რაც გამოწვეულია შორეულ აღმოსავლეთის ომით, და აგრეთვე ის არსებითი სარგებლობა, რომელიც ხსენებულ საზოგადოებას მოჰქონდა მკვიდრთათვის, შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად წარვსდეგ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე და 17 თებერვალს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება — მიეცეს ვადა დამატებითი საწევრო ფულით ამ ზარალის დაფარვისა, როგორც ზევით არის მოხსენებული“.

ამნაირად ახალ გამგეობის თავ-გამოდებულ მეცადინეობას ტყუილად არ ჩაუვლია და ხსენებულ ბანკის ქუთათურ წევრებს დღევანდელ კრიზისში წამხდარის საქმის გამოსაკეთებლად საკმაო შეღავათი მიეცათ. საქმის ასეთი გამოკეთება კი ყველას ინტერესს შეადგენს, რადგან, თუ ბანკი დაეცა, ყველა ძალაუნებურად იმაზე მეტს ზღავს, რაც ახლა ნებაყოფლობით ისურვებს. დღეს-კი ბანკისთვის თითოეული საჩქაროდ შეტანილი თუმანიც გამოსადეგია და ტყუილად უყურებენ წევრები უკანასკნელ ვადას თავიანთ ხვედრის შეტანისას. ახლანდელი გამგეობა კიდევ უფრო უადვილებს წევრებს თავიანთ ხვედრის შეტანას და ეუბნება, ვისაც 100 მან. მეტი ხვდებათ, შემოიტანეთ ნახევარი, გინდ მესამედი ფულით შემოიტანეთ და დანარჩენის საიმედო ვექსილები მოგვეცითო, რომ საჭიროების დროს გავანაღდოთო. ახლა მაინც უნდა პატივი სცენ თავიანთ შეპირებას და ცოტაოდენის გაჭირვებით შევსონ დანაკლისი.

ამასთან ვისი ფულიც ინახებოდა ბანკში, იმათაც ბანკის საქმეების გამოკეთების იმედი მისცემოდათ და თავიანთ ფულის გატანაზე უარი უთქვამთ, გარდა თითო-ოროლა აგიტაციის წყალობით დაშინებულთა.

ესეც არ იყოს, ახლად მოვლენილმა აზოვის სავაჭრო ბანკმა თავისი სუსხი უკვე აგრძნობინა ყველას და აქაურმა ვაჭრებმა მოისურვეს შესანდობლად ისევ შინაურ მღვდელს დაუბრუნდნენ.

⁂

ხონიდან ჩამოსულმა გვიამბო, რომ ამ დღეებში უგზო-უკვლოდ გაპარულა იქაურ სასოსტატო სემინარიის დირექტორი ლევიცკი, რომელმაც ამას წინად ადგილობრივ მკვიდრთა „დასამშვიდებლად“ პოლიციის დაუკითხავად ასამდე ყაზახი მოიწვია. ასეთმა მისმა საქციელმა ძალზე გააკვირვა მცხოვრებნი.

⁂

10 მარტს საღამოს მატარებლით ჩამოვიდა ახლად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი ქუთაისის გუბერნიისა თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი. სადგურზე მას მიეგებნენ ქალაქის მოურავი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი და ადგილობრივ პოლიციის წარმომადგენელი.

ამბობენ, ყოფილი გუბერნატორი სმაგინი ძალიან ავადააო.

⁂

ღამის მოდარაჯე ყაზახ-რუსებმა სამხედრო წესების ძალით უკვე დაიწყეს ღამ-ღამობით 8 საათიდან ქუჩებში მიმავლების ჩხრეკათ: ექვსი ცხენოსანი გაგაჩერებთ და გეკითხება: იარაღი ხომ არაფერი გაქვს!.. და მოგიყვებიან ჯიბეებში ხელის ფათურს...

ის—არიძე.

სადღეისო

მოწაფის დღიურიდან.

1 ენკენისთვე, 190.. წ. **სიცივე.**

ამისრულდა დიდი ხნის ნატვრა: შევდგი ფეხი სასწავლებელში...

ამ თავითვე აქ რაღამაც ცივად დამკრა... ტანში მაჟრჟოლებს... რა მემართება? ავად ხომ არ ვარ... არა, ავად არა ვარ, მაგრამ ავადმყოფზე უარესად ვგრძნობ ჩემ თავს და მიზეზიც არ ვიცი...

ცივად, უგულოდ მიცქერის ყველა... განზე მიყურებს, თითქო იმის თქმა უნდოდეს, აქ რა გინდოდა, ჩვენც არა ვართ სასურველ ყოფაში, შენ რაღას შემოეხეტეო?..

ვხედავ ძველ შეგირდებს, უკვე შემოჩვეულებს სასწავლებელში.—ზაფხულის თავისუფლებამ ცოტათი მოასულიერა, მოკეთებულ ავადმყოფებსა გვანან...

—

9 ენკენისთვე.—**სადა ვარ?**

აგერ ერთ კვირაზე მეტია, რაც შემოვეჩხირე ამ სასწავლებელში და აქამდის კიდევ ვერ შევეჩვიე და ვერა!.. თითქმის უარესადაც ვგრძნობ ეხლა ჩემ თავს... სული სადღაც შორს მიისწრაფება...

რა ამბავია?.. თავის ქება არ მინდა, მაგრამ ხომ ნამდვილად მწყუროდა სწავლა, ახლაც მწყურია!..

აკი მასწავლიან კიდეც?.. მარა, ეჰ, მოვტყუვდი, მგონია... ვაი, ვაი, რა საშინელია ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა?!.

—

20 ენკენისთვე.—**მისი აღმატებულება.**

არა და არა! არ იქმნა და ვერ შევეჩვიე აქაურ წესებს!.. ვატყობ, აშკარად ვატყობ, როგორ თანდათან ჰქრება სიცოცხლის ნიშან-წყალი შეგირდების სახეზე... მეც, ალბად, ესევე მემართება.

დღეს დირექტორმა კიდევ მკითხა, რა გვარი ხარო. დალოცვილო, ამდენ ხანს როგორ ვერ ისწავლა ჩემი გვარი!.. ნარაძე-მეთქი,—ვუპასუხე.

დირექტორი აიმრიზა და თავისი ჭროლა თვალები სასტიკად გადმომიბრიალა.

მომიბრუნდა და კიდევ მკითხა გვარი... მეც იგივე გავიმეორე.

დირექტორი აინთო, პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა!.. ჩაიარა...

აქაურ წყობილებას შეჩვეული შეგირდები მომვარდნენ,—მეუბნებიან: „კაცო, ვერ ჰხედავ, —ყელზე რა ჰკიდია?—ეგ გენერალია, გესმის, გენერალი! და შენს გვართან ერთად „ვაშე პრევოსხოდიტელსტვო“ თუ არ მიაყოლე, ისე არ მოგეშვებაო.

ეს დარიგებაც მალე გამომადგა დირექტორმა ისევე ჩამომიქროლა და კიდევ მკითხა.

მეც გამოვიჭიმე და „ნარაძე, ვა...ვა...შე პრე..პრევოსხო...დი...ტელსტვო“-მეთქი, ძლივს მოვახერხე.

— ყოველთვის ასე უნდა მიპასუხო! „ვოლნოო!“ მითხრა დირექტორმა, მაგრამ უძრავად ვიდექი, სანამ საშინელ დირექტორის ჩრდილიც კი არ მიიმალა...

გაოცებული ვარ სწორედ: სალდათი არა ვარ... ყაზარმულ სასტიკ დისციპლინას რა ადგილი აქვს სასწავლებელში?...

რას იზამ? „რომელ სოფელშიაც შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეო“,—უთქვამს ვიღაცა გაიძვერას.

—

21 ენკენისთვე,—**მიზანი.**

დღეს აგვიხსნეს ჩვენი დანიშნულება, ჩვენი ცხოვრების მიზანი... ჩვენ, მომავალი მასწავლებლები, ხალხში სინათლის შემტანნი უნდა შევიქმნეთ! მართლაც, სწავლის დაწყების წინ გვათქმევინებენ აქ ლოცვას!... „...აღვგზარდენ ეკლესიისა და მამულისა სასარგებლოდ“... მეცინება მწარედ: მონობასა და სიბნელეში აღზრდილნი ვისთვის და რა სასარგებლო ვიქმნებით? ან სად უნდა შევიტანოთ ის სინათლე, რომელიც ჩვენ თვითონ არ გვახლავს?!...

—

1 გიორგობისთვე.—**„უსმოტრენიე“.**

ისტორიისა და ქართულ ენის მასწავლებელი ერთი და იგივე პირია.

ჩვენ, მომავალ მასწავლებლებს, ქართული ენის გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ერთხელა გვაქვს! მაგრამ დახედეთ დევნულის ბედს!—მასწავლებელმა გამოგვიცხადა, რომ დღეიდან ის ერთი გაკვეთილიც შეეწირება ისტორიის გაკვეთილს და ქართულის გაკვეთილი მხოლოდ თავის „უსმოტრენიეზე“ მიაგდო!...

—

20 ღვინობისთვე.—..

დღეს ჩვენი სასწავლებლის მთელი „პედაგოგიური პერსონალი“ მოულოდნელად თავს დაგვესხა კლასში, სასტიკ გაჩხრეკის შემდეგ დაატყვევეს აკაკი, გიორგი წერეთელი, ეგ. ნინოშვილი, დანიელ ჭონქაძე და სხვ.

ამავე დღეს „ბუნტის“ თავიც შეიპყრეს.

—

21 ღვინობისთვე.—**უმადურობა.**

დილით, წირვამდის, ბაგითა ჩვენის დიდებულის ხუცისათა გვეუწყა, რომ დღეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულია, რომ დღეს ღვთისმშობელმა მთელ კაცობრიობას მიანიჭა წმიდათა-წმიდა, სინათლე, სწორედ ისე, როგორც რუსეთმა მიანიჭა საქართველოს სიბნელის მაგიერად სინათლე, უმეცრების მაგიერად მეცნიერება, აწიოკება-აზორების მაგიერად მშვიდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრება. ამას კი უმადური ქართველი ერი არა ჰგრძნობს, არ აფასებსო!...

—

15 ქრისტეშობისთვე.—**ვის უნდა ვუმადლოდეთ.**

ჩვენი ღიპიანი, ლოყებ-ალაქლაქებული რუსულ ენის მასწავლებელი დღეს რაღაც ორატორობის გუნებაზე დამდგარა, სულ სამშობლოს ახსენებს, აგზნებულ, ზეგარდმო შთანაბერ „რეჩს“ ამბობს კლასში... ეტყობა, გაკვეთილამდის მსუქანი ძეხვი ჩაუყლაპავს და მისგან მიტოვებულ ჩრდილოეთ მხარის სახსენებლად ორიოდე გადაუკრავს კიდეც.

— ქრისტიანობის გულისთვის მოველით აქა და სრულს აოხრებას გადავარჩინეთ ქართველი ერიო; ჩვენ რომ არ მივსწრებოდით, ალიგავებოდა იგი სამუდამოდ დედამიწის ზურგიდან!.. თქვენი გულისთვის აუარებელი სისხლის დავღვარეთ! გაგიმართეთ რკინის გზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, სასწავლებლები, გავავრცელეთ სწავლა-განათლება, ვაჭრობა, ერთის სიტყვით, გავახალეთ სიცოცხლე და თქვენ კი... ...თქვე წუპაკებო...

მე, მასწავლებელთა მასწავლებელი, თქვენ,—მომავალ მასწავლებლებს, გავალებთ, რომ თქვენ მიერ გაწვრთნილი ახალი თაობა მაინც დაადგეს «კეთილ გზას» ჩვენის სამშობლოს გასაძლიერებლად! გესმით?

—

20 ქრისტეშობისთვე.—**ფიქრები.**

ცივა გარედ და მეც მცივა... სიცივეა სასწავლებელში. რა უნდა ისწავლოს აქ ადამიანმა? სწავლის სურვილს ეს ცივი ჰაერი გულში მიკლავს და მეც, ამ სამი თვის წინედ რომ მენატრებოდა სწავლა და სიხარულით მოვდიოდი სასწავლებელში, ეხლა მძაგს იგი. არა, არა მძაგს, სწავლა ისევე მინდა მაგრამ აქ, ამ სიცივეში... არა, არ შემიძლია...

ასე მეგონა, რომ ამ სამი თვის განმავლობაში დამიჭკნდა ნიჭი, დამეკარგა ძალა და მხნეობა, შხამით მოიწამლა ჩემი არსება!.

გარშემო ჰაერი მოწამლულია...

ან ეს დღიურიც რა საჭიროა! ეს მწარე მოგონება იმისი, როგორ დავკარგე საუკუნოდ ძვირფასი დრო აქ შემოსვლით?

სამარემდის დამრჩება წაუშლელად ის საშინელი დაღი, რომელიც გაავლო ჩემ გულს მავნე ხელმა ჩემი ცხოვრების გაზაფხულზე... არა, კმარა, არ შემიძლიან! შორს, შორს აქედან!..

დ. ჭოლეველი.

ქართლის ამბები.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

სურამში რომ ავედი, საკვირველი ამბები დამხვდა... აქ, როგორც იტყვიან, ცხოვრება დუღს და გადმოდის. ქუჩებში დიდი მოძრაობაა, თუმცა ეს მოძრაობა ერთობ მშვიდი და დინჯი არის. მახლობელ სოფლებიდან გლეხები მრავლად იკრიბებიან და ბჭობენ დღევანდელ მდგომარეობაზე. ყველგან ისმის გამოღვიძებულ ხალხის თავისუფალი და იმედიანი ხმები, ხოლო სოფლის მოხელენი, რომელთაც ბურთი და მოედანი დღემდე ხელში ჰქონდათ, დღეს სდუმან და თავიანთი მოქმედება თითქოს სამარადისოდ შეუჩერებიათ.

მატარებლიდან რომ გადმოვხტი, გავიარე ქუჩაზე, სადაც მრავალს გლეხობას მოეყარა თავი და ხმა-მაღლა ბჭობდნენ. როცა მივუახლოვდი, გლეხებმა თავი მაღლა აიღეს და ღიმილით მომესალმენ.

— გამარჯობა «ერთობას»! მეც ვუპასუხე. შემდეგ ვკითხე გლეხებს, რად შეყრილხართ-მეთქი, და ერთმა მოხუცებულმა, 65 წლის კაცმა მიპასუხა:

— დღეს ბოქაულთან ვიყავით დაბარებულნი ხაშურში. როგორც იყო, სოფლებიდან აქ, სურამში, ჩამოვედით, მაგრამ ხაშურში წასვლა ამ დიდი ტალახის გამო ვეღარ შევძელით. დესეტნიკმა გვითხრა, ამ დღეებში აქ ვიღაც კომისია უნდა მოვიდესო და ბოქაული იმიტომ გიძახითო, მაგრამ ჩვენ ვერ ჩავედით... იმ დალოცვილს ბოქაულს თუ კი საქმე აქვს, ამოვიდეს და აქ გვითხრას. ის ერთი კაცია და ცხენებიცა და ფაიტონებიც მის ხელთ არის. ჩვენ კი ათასი ვართ და ისიც ყველა ფეხშიშველნი.

აქ გლეხმა ქალამნიდან გამოაჩინა ტიტველა ცერი და შემდეგ დახეულ ახალუხზე ხელი დაიდო:

— აი, ნახეთ, როგორი ახალუხი მაცვია... მართალია, ამას წინად ჩოხაც მეცვა, მაგრამ მტრისა და მოკეთის ვალის გადასახდელად გავყიდე.

— რა ამბავია, რომ ასე ერთბაშად ყველანი ამოძრავდით და უკმაყოფილებას აცხადებთ,—ჩავერიე მე.

— გაჭირვება ბევრ რასმე ჩაადენინებს კაცს. ერთი მიბრძანეთ, სამოვარს როცა ბევრ ცეცხლს ჩააყრით და ადუღდება, წყალი არ გადმოვა ხოლმე?

ლაპარაკი თავად-აზნაურთა გადაწვასა და მოკვლაზე ჩამოვარდა და სუყველანი ზიზღით იხსენიებდნენ ასეთ საქმის ჩამდენთ.

— ქორწილი ხომ ქორწილია, ბატონო—სთქვეს მათ—იქ ხომ ყველანი სალხინოდ იკრიბებიან... უცებ აურ-ზაურის მოყვარე ვინმე კაცი ასტეხავს ჩხუბსა და ლხინს ტირილად გადააქცევს... მით უფრო ძნელია ამ დიდ საქვეყნო საქმის კარგად წაყვანა. ათასი ჩვენი მტერი დღევანდელ მოძრაობით სარგებლობს და თავის საზიზღარ მოქმედებას თავზე ჩვენ გვახვევს. ჩვენ ცხადად ვმოქმედობთ და ჩუმად არაფერს ვაკეთებთ.

ხალხი ნელნელა დაიშალა და ატალახებულ გზებით გაემართა თავ-თავის სოფლისაკენ.

სურამის მახლობელი სოფლები ამჟამად დიდს ყურადღებას იქცევს თავად-აზნაურთა სახლკარისა და ტყეების ხელუხლებლობით და ამ დღეებში ყრილობაც კი მოახდინეს და ერთმანეთს დაავალეს, რომ თვალყური ადევნონ ზოგიერთ თავზე ხელ-აღებულ კაცებს, რომელნიც თავად-აზნაურებს აწიოკებენ.

აქაური თავად-აზნაურნიც,—სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ,—ძალიან გონივრულად იქცევიან და არც ერთს მათგანს არ მოსვლია აზრად რეპრესიულ ზომებისთვის მიემართნა გლეხთა წინააღმდეგ. ისინი, პირიქით, მზად არიან გლეხებს დიდი შეღავათი მისცენ.

სურამისა და მახლობელ სოფლების მართვა-გამგეობა ერთობ შეიცვალა. აქ აღარა ჰყავთ მამასახლისი. მამასახლისი ჯაჭვით არავის ენახვება. ჯაჭვს მხოლოდ მაშინ იკიდებს გულზე, როცა ბოქაულთან მუსაიფობს.

ჯერ კიდევ ერთის კვირის წინ მთელს სოფლებს ყრილობები ჰქონდათ და მტკიცედ შეუფიცავთ ერთმანეთისთვის, რომ დღეიდან მამასახლისს თავიანთ საქმეებისთვის აღარ მიმართვენ. მამასახლისი და მწერალი,—ამბობენ ესენი—ჩვენ არ გვჭირდება, ჩვენ ბავშვები არა ვართ; დღეიდან გამოეთხოვოს ჯამაგირს მამასახლისიც და მწერალიც.

სასოფლო კანცელარია გაუქმებულია. ყველა ის ქაღალდები, რომელიც დღემდე ამ კანცელარიაში ეწყო, სურამის ბოქაულმა წაიღებინა თავის კანცელარიაში. კანცელარიასთან, მართალია, ხალხი მიდის, მაგრამ იმიტომ, რომ საერთო ყრილობაზე თავის მდგომარეობაზე იბაასოს და დღევანდელ ვითარების განსაკარგებლად ღონის-ძიებანი შეიმუშაოს.

თანახმად გლეხთა ყრილობის დადგენილებისა, სურამში კვირაობით ყველა დუქნები იკეტება, გარდა იმ დუქნებისა, სადაც სანოვაგე იყიდება. ასეთი დუქნები დილის ათ საათამდეა ღია, შემდეგ კი მთელის დღით დაკეტილია.

სურამის სასამართლოც თითქმის უსაქმოდაა. ამჟამად იქ ირჩევა თითო-ოროლა საქმე, მაგრამ არავითარი ახალი საჩივარი აღარ შედის... გლეხნი სადავო საქმეებს თვითონ სწყვეტენ და არ ყოფილა ისეთი მაგალითი, როდესაც მომჩივანი და ბრალდებული გლეხთა ყრილობას არ დამორჩილებოდეენ.

სახლკარის გადაწვა და კაცის კვლა, როგორც ვსთქვით, აქ არ არის. მართალია, ხაშურისაკენ ყოფილა რამდენიმე მაგალითი ცეცხლის წაკიდებისა, მაგრამ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს პირადის მტრობის ბრალია, ან არა და ასეთი ხმები ჭორის მოყვარულთა მოგონილია... სამიოდე დღის წინად ხმა დავარდნილა სურამში, გლეხებმა ადგილობრივი სასამართლო უნდა გადასწვანო. ეს ჭორი, რასაკვირველია, ხაშურამდე მისულა და შუაღამისას სურამში „სტრაჟნიკები“ ამოჭრილან, მაგრამ ვერავინ უპოვნიათ სასამართლოს მახლობლად. ამჟამად სასამართლოს ადგილობრივი ჯარის კაცნი დარაჯობენ.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ჩუმათელეთისა და ბიჯნისის გლეხთა გადაწყვეტილება. ამ ორ სოფლის მცხოვრებთ ყრილობები ჰქონიათ და მკაფიოდა და გარკვევით გამოუთქვამთ თავიანთი მოთხოვნილებანი. ეს ორი სოფელი დასახლებულია სახელმწიფო მიწაზე და სახნავი ადგილებიც ხაზინისა აქვთ. ბავშვს ჰკითხავთ თუ მოხუცს, ყველა ასე გეტყვით: სახელმწიფო ტყე და მიწები სრულ საკუთრებად უნდა მოგვეცესო...

აქ არის მებატონეთა ტყეებიც. გლეხები თხოულობენ, მებატონეებმა შინ მოსახმარი შეშა უფასოდ გვაძლიონ, ხოლო გასასყიდად გამოტანილ შეშაზე ბაჟი სოფლის-მიერ არჩეულმა კაცებმა დაადგინონო. ძალის თაობაზედაც გლეხებმა უნდა მოილაპარაკონ თავადებთანო.

გლეხნი დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ ღრამაზედაც. დამარხვისა, ნათლობის, ჯვრის წერისა და სხვა საეკლესიო წესების მოქმედებისათვის მღვდლებს მიეცემათ იმდენი, რამდენსაც სოფლის-მიერ არჩეული კაცები დააწესებენ. ასე გადაუწყვეტიათ გლეხებს. ღარიბმა კაცმა დასამარხი არაფერი უნდა გადაიხადოსო. ამას გარდა, ითხოვენ: საყოველთაო საერო კრებას დაფარულის კენჭის ყრით, არა პირდაპირ გადასახადთა სრულიად მოსპობას, საყოველთაო ბეგარას, პირდაპირ გადასახადის დაწესებას შემოსავლის დაკვალად; 500 მანათზე ნაკლებ შემოსავლის მქონის სრულიად განთავისუფლებას გადასახადისაგან, სამრევლო სკოლების განცალკევებას ეკლესიისაგან, სავალდებულო უფასო სწავლებას 16 წლამდის, პასპორტის მოსპობას, წოდებათა მოსპობას, არაყის გამოხდის თავისუფლებას და „მაღაზიის ფულის“ მოსპობას.

ბევრს, შეიძლება, მაღაზიის ფული არ გაუგონია. ყოველწლობით თითოეული ოჯახი სულზე (13 წლიდან 50 წლამდე) 40 კაპ. იხდის და ეს ფული ხაზინაში ინახება. ხაზინა პირდება, ამ ფულს გაჭირვების დროს დაგიბრუნებთო, მაგრამ ჯერ ხაზინიდან გლეხებს ხელი არ გაუმართავთ, თუმცა გაჭირვება ბევრჯელ უნახავთ. ამიტომ გლეხები თხოულობენ ამ გადასახადის მოსპობას და უკვე შეტანილ ფულის დაბრუნებას.

ხაშურის გლეხებმა გადასწყვიტეს—სააღდგომოდ სუფრა სადღესასწაულოდ აღარ მოაწყონ და თვითოეულმა კაცმა 2 მანათი გადაიხადოს განათლების გასავრცელებლად.

დასასრულ, აღსანიშნავია სურამელთა უკმაყოფილება საკვირაო სკოლის უქონლობის გამო. ორის წლის წინად სკოლის დასაარსებლად წარმოდგენა გაიმართა და სამ თუმნამდე დარჩა. ბევრმა დახმარებაც აღუთქვა, თუ სკოლა დაარსებულ იქმნებოდა, მაგრამ დღემდე საკვირაო სკოლა არ დაარსებულა.

ეს წერილი გათავებული მქონდა, რომ სურამში მოვიდა კომისია, რომელმაც ქვიშხეთისა და სურამის სამამასახლისოს გლეხობა სურამში დაიბარა 14 მარტისათვის. კომისიაში არიან ტფილისის საგლეხო საკრებულოს თავჯდომარე ვეიდენბაუმი, გორის მაზრის უფროსი, ტფილისის მაზრისა ლ. ჯანდიერი და სხვანი. სურამელებსაც ერთობ ეძნელებათ მისვლა ამ კომისიასთან, რომელშიაც წევრებად ადმინისტრაციის წარმომადგენელნი არიან...

რ—ბ—ლი.

—

სოფ. ხოვლე. ამ სოფელში ცხოვრობს 400-დე კომლი გლეხი, 14 კომლი თავად-აზნაურობა ტყე და საბალახო სავსებით ეკუთვნის თ-დ ჯავახიშვილებს, ვეზირიშვილებს და ღოლიძეს. ამ ბოლო დროს გლეხობაში დაიწყო მოძრაობა, რომელიც თანდათან გარკვეულ სახეს იღებს. ოთხი დღის წინად გლეხობა გაიფიცა და თავად-აზნაურობას ბოიკოტი გამოუცხადა. გამოაცხადეს, არ მოგცემთ ნებას გლეხების ოჯახებიდან ვინმე იმსახუროთო. თავად-აზნაურობამ, რაკი შეხედა, რომ გლეხობა ერთს გზას დაადგა, გადასწყვიტა, მოურიგდეს გლეხობას და თავის მხრივ შემდეგი პირობები წარუდგინა:

1) შინ საჭირო საქონლის ძოვების ნება ექნებათ გლეხებს სოფ. ხოვლის მაჯნებში, ავკეთში, ისცოხვეში, ნაკალოვარში და ტყეებში, გარდა სათიბებისა, უფასოდ; 2) ოც დღიურ სახნავს იტოვებს მემამულე თავის საჭიროებისათვის არჩევით, დანარჩენ მიწებში: სარწყავში მესამედს მაგიერ იღებს მოსავლის მეოთხედს, ურწყავში—მეოთხედის მაგიერ მეხუთედს და, თუ ვინიცობაა, მთავრობამ მოსავლის აღებამდე დროის რაოდენობა გადასწყვიტა, ორთავე მხარე ემორჩილება გადაწყვეტილებას; 3) საშენ ქვით სარგებლობა უფასოდ შეუძლიან გლეხობას თავის საჭიროებისათვის; 4) ვენახები, რომელიც ნაძღვისაა და გაუყოფელია მემამულესა და გლეხებს შორის და დღეს ნახევარი მემამულის მფლობელობაშია, ისევე უნდა დარჩეს იმ დრომდის, ვიდრე მთავრობა დაუბრუნებს გლეხებს. და თუ დაუბრუნა, მემამულე მოვალეა უზღოს ვენახის შემოსავალი ამ შეთანხმების დღიდან; 5) ნაძლის დაკა-კულუხი არ გამოერთმევათ, ვიდრე გლეხობის მოთხოვნილებაზე მთავრობა განაჩენს

არ დაადგენს; 6) ხუმბლის წყალი სარწყავად ყველას მამულზე იქნება განაწილებული, განურჩევლად წოდებისა*); 7) ტყით სარგებლობა საშინაო საჭიროებისათვის გლეხებს უფასოდ შეეძლებათ; 8) ეს პირობა უქმდება იმ დღიდან, როცა მთავრობა გამოაცხადებს თავის პირობებს მემამულეებისა და გლეხების შეთანხმების შესახებ.

Z.

ხმა მემამულისა

(ქართლის გლეხთა მოძრაობის გამო)

ეს რამდენიმე ხანია, გლეხობის მღელვარებით შეშფოთებულმა თავად-აზნაურობამ თავის დედა-ქალაქს მიაშურა, მასში მცხოვრებ თავის ინტელიგენციას მიმართა და რამდენიმე კრება კიდეც მოახდინა იმის გადასაწყვეტად, თუ რა საშუალებას უნდა მიჰმართონ, რომ გლეხ-კაცთა მოძრაობის საგანი სათავეშივე იმგვარად მოეწყოს, რომ უბედურება თავიდან აცილებულ იქმნას, ვინაიდან ერთმანეთის ხოცვა, სახლ-კარის გადაბუგვა, ტყეების უთავ-ბოლოდ გაჩეხა და მაწყების დაუმუშაობა ორივე მხარისთვის ფრიად საზარალო და მავნებელია.

მართალია, ბევრისთვის სრულებით მოულოდნელი და არა სასიამოვნო იყო გლეხების ასეთი უცები გამოფხიზლება და თავის უსამართლო სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობის შეგნება, მაგრამ არიან ისეთი შეგნებულნი თავად-აზნაურნიც, რომელნიც მოელოდნენ ამას და დღეს მზად არიან წინ მიეგებონ აქამდის ყოველმხრივ ჩაგრულ მოძმეთ, მზად არიან შეიხსნონ ისტორიისაგან მოცემულ უპირატესობით სარგებლობა და დაუთმონ თავის ქონების შემოსავლიდან იმდენი, რომ დანარჩენით ცოლ-შვილის რჩენა და სხვადასხვა უნებურ გადასახადთა გასტუმრება შესძლონ... ამის მსურველი და შემგნები პატარა ნაწილი არ არის თავად-აზნაურობისა, და აი, ესენი მოუთმენლად ელიან ზემოხსენებულ კრებებისაგან რამე გარკვეულ გადაწყვეტილებას. უეჭველია, ეს შეგნებული ნაწილი თავად-აზნაურთა დიდ გავლენას იქონიებს სხვებზე, რომლებსაც იმდენად აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი საუკუნეებით შეთვისებული ყოველგვარი უპირატესობა და აქედან წარმომდგარი ათასნაირი სიტკბოება, რომ ჯერ უსათუოდ დაჩვეულ იარაღს, — პოლიციისა და ჯარისადმი მიმართვას — არჩევდა. მაგრამ ბოლოს ნება-უნებურად ისტორიის ულმობელ კანონს დაემორჩილება და უგუნურ პეპელასავით აღგზნებულ ცეცხლს თავისს თავს არ მიაკრავს.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ ვამჩნევთ, რომ ეს ჩვენი მოლოდინი მართლდებოდეს. თავად-აზნაურთა კრებაზე დღემდის არავითარი საქმის ასე თუ ისე გადამწყვეტი კითხვები არ დაუყენებიათ. რამდენსამე კრებაზე ზოგიერთ ორატორებისაგან უცვლელად და დაჟინებით მხოლოდ ბრალდების ოქმის მსგავსი სიტყვები გაისმის. ნუ თუ კრებისთვის პატეტიურ სიტყვებით იმის თქმა, რომ თქვენ და მხოლოდ თქვენვე ხართ დამნაშავეთ — თქვენის უდიერ მოპყრობით გამოიწვიეთ გლეხ-კაცობის აღელვება, — უბრალო ანბანი არ არის დღეს ყველასთვის? რაღა საჭიროა ამდენი მხილება იმისი, რაც უკვე შეგნებულია, როდესაც გარემოება მოქმედებასა და საქმეს თხოულობს? რატომ არ უნდა ვიღებდეთ ხედველობაში და არ შევდიოდეთ იმათ მდგომარეობაში, რომელთაც მწარედ შეუგნიათ თავისი დანაშაული დღემდის დაჩაგრულ მოძმეთა მიმართ და წმინდის გულით მოსულან კრებაზე, — დაემორჩილონ ბედს, აიყარონ შეტი იარაღი და გლეხობას გაუწოდონ ხელი?

როცა ასეთ ლაპარაკში დრო იკარგება, სოფლებში ამ დროს ხალხი ღელავს, ხალხი ელის... ხალხს მუშაობა უნდა, მოსავალს — დამზადება, გუთნები ჟანგდება, სახლები იწვის და სად არის პატრონი? ქართველების აუჩქარებლობამ და უსაქმო მუსაიფის მოყვარულობამ აქაც იჩინა თავი.

ორში ერთი, ბატონებო! ან დროზე უნდა ვიღონოთ რამე, ან სულ ხელი უნდა ავიღოთ ყოველგვარ პრაქტიკულ ღონისძიებაზე და საქმე სადაცბედოდ დავტოვოთ. ყველა მემამულე დღეს საერთო ხმას, საერთო დადგენილებას მოელის. ერთმა კრებამ კომისია აირჩია და დაავალა სოფლად წასვლა. რა პროგრამით მიდიოდა ეს კომისია, ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ სოფლიდან აცნობეს მას, სახლში დარჩენილიყო, რადგან გამოცდილმა პირებმა იცოდნენ, რომ იმ კომისიის მისვლით სოფლებში არაფერი არ გარიგდებოდა. საკვირველიც არის კომისიის გზავნა, როდესაც თვით თავად-აზნაურობას არა აქვს გამორკვეული, თუ გლეხებისათვის რის შეთავაზება შეუძლიან! ხოლო რანაირი იქნება ქართლის გლეხობის მოთხოვნა, ეს ჩვენთვის თითქმის ცხადი არის: ეს იქნება განმეორება გურიის გლეხ-კაცობის მოთხოვნის.

სხვადასხვა სოფლებში სხვა ნიადაგი და მოსავალია, — მაშასადამე, სხვადასხვა გადასახადებიცაა დადგენილი. ყოველ კუთხის მემამულე ვალდებულია წარმოადგინოს დაახლოვებული პირობები, რომლის საფუძველზედაც შეუძლიან გლეხს მოურიგდეს, და მხოლოდ ასეთ პირობების გაგების შემდეგ შეეძლება კომისიას სოფლად რამე გაარიგოს.

მაგრამ თავსატეხი სწორედ ამ კომისიის შედგენაა! ისეთი კომისია, რომელიც მხოლოდ თავად-აზნაურთაგან იქნება შემდგარი, ვერაფერს გაარიგებს სოფლად. ბევრის მხრით აქვს თავად-აზნაურს გლეხკაცის უნდობლობა დამსახურებული, ასე რომ მასთან მოსარიგებლად ისეც თავად-აზნაურის გაგზავნა საიმედო საშუალება არ არის. გლეხს ჰყავს ეხლა თავისი მოსარჩლე, თავდადებული, მაგრამ, ვფიქრობთ, იმდენად პატიოსანი, რომ მან მიკერძოებით არ უნდა იხელმძღვანელოს. აი, სწორედ ასეთები უნდა იყვნენ მოწვეულნი კომისიაში, რომ შეერთებულად, მოუდგომელ რჩევით სასურველად გადაწყვიტონ საგანი.

ჩვენის ხალხის სიყვარულით გამსჭვალულნი, გულწრფელად ვურჩევთ ჩვენს ინტელიგენციას, სეროზულად შესდგოს დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას და დროთი იღონოს რამე, ვინაიდან ამოდენა თავად-აზნაურობა, — ბევრნაირად სასოწარკვეთილი და მოძმის პირდაპირ გარემოებით საომრად დაყენებული, — მის დახმარებას შესცქერის.

ნინო ყიფიანისა.

---

*) ამ წყალით სარწყავში თ-დი ჯავახიშვილები ახდევინებდნენ ფულს; განსაზღვრული არ იყო გადასახადი, ასე რომ, მემამულეები თავის ნებაზე ადებდნენ გადასახადს.

პრესსა

გაზ. „რუსში“ ეხლა მაჰმადიანებმა ამოიღეს ხმა და წარადგინეს თავიანთი მოთხოვნა. გაზეთის რედაქცია ამის შესახებ ამბობს:

> „დრო არის მივაქციოთ ყურადღება იმ არა რუსებსაც, რომელნიც ცხოვრობენ რუსეთში.
>
> შეიძლება გვითხრან, ეხლა დრო არ არისო ასეთ კითხვებზე ლაპარაკის ჩამოგდებისა, რად უნდა ვილაპარაკოთ არა რუსებზე, განაპირა ქვეყნებზე, როდესაც შინ მრავალი ძირითადი რეფორმა შემოდის?
>
> მაგრამ შუაგულ რუსეთის შესახებ ყოველი კითხვა გარკვეულია, — დიდი ხანია ირკვევენ ამას და ამიტომ ეხლა ამაზე ხელ-ახლად ლაპარაკი მეტია. საერობო კრება გაზეთზე უკეთესად მოუვლის თავს ყველა ამ კითხვას.
>
> ამ მხრივ რუსეთი მზად არის საერო კრებისათვის. მაგრამ არის კითხვა, სადაც ჯერ მზად არ არის რუსეთი, — ჯერ არ ვიცით, როგორ შეხვდებიან საერო კრებაში ერთმანერთს რუსების წარმომადგენლები რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენელთ.
>
> რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამ თუ არ აიღო ხელი ეროვნულ განცალკევებაზე და არ შეურიგდა სხვა ერების სურვილებს, როგორის თვალით შეხედავენ ისინი რუსებს საერო კრებაში. ყველას სტკივა გული, ყველას აწუხებს თავისი საჭიროება და ამიტომ ყველა დაიწყებს ამ საჭიროების შესახებ ლაპარაკს კრებაში. დიდის ხნის დაგუბებული უნდობლობა და მტრობა რუსებისადმი იფეთქებს კრებაში ძლიერად.
>
> ეს უნდობლობა და მტრობა აერთებს რუსეთში მცხოვრებ ყველა არა რუსს და ამიტომ ისინი უთუოდ ერთობით იმოქმედებენ მკვიდრ რუსთა საწინააღმდეგოდ.
>
> საერო კრებაც რომ არ იყოს, სხვა შემთხვევაშიც ყოველთვის ეცდებიან არა რუსები შეერთებას რუსების საწინააღმდეგოდ ისევე, როგორც მაკედონიის სერბები უერთდებიან მცირე აზიის სომხებს საერთო მტრის — ოსმალეთის საწინააღმდეგოდ.
>
> ნუ თუ სასარგებლოა რუსებისათვის მათი მტრობა რუსეთში სხვადასხვა მცხოვრებ ეროვნებისაგან?
>
> ნუ თუ არ სჯობია მოეწყოს სამართლიანად ამათი ცხოვრება?
>
> ამისათვის უპირველესად არის საჭირო ლაპარაკისა და პრესსის თავისუფლება. რამე ტკივილი რომ აწუხებს ადამიანს, ხშირად საკმარისია მის შესამსუბუქებლად ყვირილი.
>
> მივცეთ ლაპარაკის უფლება ამ არა რუსებსაც. მოვისმინოთ მათი საჩივარი. ვეცადოთ მოვიპოვოთ იმათი ნდობა.

გაზეთი ამბობს, ყველა არა რუს ეროვნებას უნდა მიენიჭოს საერო კრებაში წარმომადგენლობა, რომ ერთი მთლიანი რუსეთი არ დაირღვესო, ვინაიდან არ არის სასურველი ამ სხვადა სხვა ეროვნების განცალკევება რუსეთში.

ესე იგი, გაზეთის აზრით, რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებას დააკმაყოფილებს ცენტრალისტურად მოწყობილი რუსეთი, რომელშიაც ყველას ეყოლება თავისი წარმომადგენელი. ამ აზრს არ ეთანხმება ზოგიერთი ეროვნება და ითხოვს დეცენტრალიზაციას, ითხოვს, რომ ადგილობრივი საქმე ადგილობრივ წყდებოდეს ყოველთვის, ვინაიდან ამ ერებს ვერ-ოდეს ვერ დააკმაყოფილებს სრულიად რუსეთის კრების გადაწყვეტილება მათ შინაურ საქმეების შესახებ, და აი, ამაში შორდებიან ერთმანეთს რუსები და სხვადასხვა ეროვნება.

თეატრი და ხელოვნება

არტისტიულ საზოგადოების თეატრში დაიწყო ჩვენის ნიჭიერ მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის და მისი ქუთაისელ დასის გასტროლები. პირველი წარმოდგენა გაიმართა კვირას, 13 მარტს. წარმოადგინეს მონტის 5 მოქმ. დრამა „კაი გრაკხი“. ეს პიესა მეორედ არის ტფილისში წარმოდგენილი და იმისდა მიუხედავად, რომ, როგორც დრამატიული ნაწარმოები, სუსტია, საზოგადოებაში დიდს ალტაცებასა და თანაგრძნობას იწვევს.

საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება „კაი გრაკხის“ წარმოდგენას. მიგებება-კი, მართლაც, უცნაური იყო: სცენასა და „პუბლიკას“ შორის დიალოგები გაიმართა: ყოველი სიტყვა მსახიობისა შესაფერ ხმა-მაღლა გამოთქმულ დაფასებას და გრძნობას იწვევდა მაყურებლებში („წინა“ რიგები არ იღებდნენ მონაწილეობას) და ეს გარემოება, რასაკვირველია, თვით მსახიობებზე ძლიერ მოქმედებდა და წარმოდგენის საერთო შთაბეჭდილებასაც ხელს უშლიდა. მაგრამ მაინც, ამ არტისტებისაგან „დამოუკიდებელ მიზეზის“ მიუხედავად, ქუთაისის დრამატიულ დასის მოფიქრებულმა და შეთანხმებულმა თამაშობამ ცხად ჰყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დასისათვის იმისთანა ნიჭიერ ხელმძღვანელს, როგორიც ჩვენი საუკეთესო მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილია, რომელმაც სრულებით გამოუცდელ და მოუმზადებელ მოყვარულთაგან შეადგინა დასი, რომელიც ჩვენ „პროფესიონალურ“ მსახიობთაგან შემდგარს დასს არ ჩამოუვარდება.

თვით მესხიშვილზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც საზოგადოებამ თვითონ სთქვა ყველაფერი, როცა ყოველ მის სიტყვას და მოძრაობას გაუთავებელის ტაშის-ცემით ეგებებოდა; გვსურს აღვნიშნოთ შეგნებული და ძალდაუტანებელი თამაშობა ბ-ნ ზარდალიშვილისა (ოპიმი). ამ ყმაწვილ მსახიობს ცხადად ეტყობა უნარი სცენაზე თამაშისა. სცენაზე თავი ისე თავისუფლად უჭირავს, როგორც გამოცდილ მსახიობს, რაც ქართულ სცენაზე იშვიათი მოვლენაა. ყმაწვილი მსახიობი, დარწმუნებულნი ვართ, ერთი-ორად უკეთესად ითამაშებდა იმ საღამოს, სრულებით უდანაშაულო მსხვერპლი რომ არ გამხდარიყო საზოგადოების ფსიხოლოგიურ მდგომარეობისა; საქმე იმაშია, რომ ოპიმი, რომელსაც ბ-ნი ზარდალიშვილი თამაშობდა, პიესაში მჩაგვრელების დასს ეკუთვნის და საზოგადოებაც მას, ზარდალიშვილის სახით გამოყვანილსა, თავის ზიზღს და სიძულვილს უცხადებდა; ცხადია, უცნაური ფსიხოლოგია საზოგადოებისა მოქმედებდა მსახიობზე, როცა ყოველს მის სიტყვას ხალხი „ძირს“ და სხვას უყვიროდა. მაგრამ თვით ამ გარემოებამ უნდა დაამშვიდოს ყმაწვილი მსახიობი: სჩანს, მის თამაშობას ნათლად დაუხატავს ოპიმის საზიზღარი სურათი. კორნელიას და ლიცინიას თამაშობდნენ ტფილისისათვის ნაცნობნი ქ-ნ ივანიძე და ქ-ნი რონელი და ამ საღამოსაც კარგად შეასრულეს თავისი როლები. კარგი ფულვი იყო ბ-ნი გამყრელიძეც. დრუზი — ბაქრაძე — კარგი იყო, მაგრამ გრიმი რომ გაეკეთებინა, უფრო ემჯობინებოდა. საერთოდ ანსამბლი დაცული იყო.

რუსეთი

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის მეხუთე კურსის 51 სტუდენტთაგან გაზაფხულზე გამოცდის სურვილი მხოლოდ 12 კაცმა გამოაცხადა (რ. ვ.).

„სარატოვის მონარქიული პარტია“. სარატოვში ნაფ. მსაჯ. ტოკარსკის ასეთი წერილი მოსვლია; „სარატოვის მონარქისტების კომიტეტმა გადასწყვიტა: თუ თქვენ რომელსამე ბანკეტზე კიდევ წარმოგითქვამთ მთავრობის წინააღმდეგი სიტყვა, ისევე მოგექცევით, როგორც თქვენ ექცევით ამ ბოლოს დროს მთავრობის მოსამსახურეებს“. ასეთივე მუქარა მოსვლიათ სხვა საზოგადო მოღვაწეთაც (რუს).

ბიუროკრატიის ბატონობის შედეგი. სისტემატიურმა საზოგადოებრივ ძალთა დევნამ და შევიწროებამ, დევნამ საქვეყნო საქმეთა გულშემატკივარ პირთა, ხანგრძლივმა ძალდატანებულმა სამარისებურმა სიჩუმემ საზოგადოებრივ და სახელმწიფო კითხვათა შესახებ, ხელოვნურად გამოწვეულმა ხალხის უგუნურებამ და ერის უუფლებობამ, საზიზღარ ინციდენტების, სილაჩრისა და მონობის წაქეზებამ გარყვნა გონებრივი, ზნეობრივი და კულტურული ძალები რუსის ერისა, წარმოშობა საზოგადოებაში მუდმივი ღელვა, ძირი გამოუთხარა სახელმწიფოს შინაურ ზრდა-განვითარებას და თავს დაატეხა გარეგანი სირცხვილი და დამარცხება. სახელმწიფოს ბედი ყოველს მისს წევრს აინტერესებს და აწუხებს; მთელ ერის მოვალეობაა, ყური უგდოს, რომ სახელმწიფო, ფანტასტიურის პოლიტიკისა და უკანტროლო მართვა-გამგეობის წყალობით, არ დაეცეს, არ გაკოტრდეს, სახელმწიფოს უმთავრეს ადგილებზე ინიშნებოდეს საუკეთესო და უნიჭიერესი პირები, ღირსნი საზოგადოების ნდობისა და არა ფუქსავატ თავ-მოყვარეობით შეპყრობილნი და ენა-მლიქვნელი კანცელიარიის „საქმის“ კაცნი, მოხერხებული კარიერისტები და ნიღაბ აფარებული ქურდები. (რ. ს).

ბულიგინის თავმჯდომარეობით შემდგარი განსაკუთრებული საბჭო, როგორც ამბობენ, მარტის 15-დან დაიწყებს მუშაობას. თავმჯდომარე ჯერ-ჯერობით გამოჩენილ საზოგადო და ერობის მოღვაწეთ ეთათბირება. როგორც ეტყობა, საზოგადოებრივ ძალთა მონაწილეობას ბულიგინის კომისიაში მხოლოდ სათათბირო ხასიათი ექნება (რ. ვ.).

კორესპონდენცია

ჭიათურა. თებერვლის დამლევს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ჭიათურელმა მოსამსახურეებმა ითხოვეს, საზოგადო მრეწველთა მომავალ კრებაზე იშუამდგომლეთ ჩვენის ცხოვრების გასაუმჯობესებლადაო, და თან ასეთი მოთხოვნანი წარუდგინეს: 1) მომეტოს ჯამაგირები და ამასთანავე ერთი კაცისაგან ხუთი თანამდებობის აღსრულება შემდეგისათვის მოისპოს. 2) დაარსდეს საპენსიო კასსა. 3) საჭირო დროს აღმოუჩინონ საექიმო დახმარება. 4) ამა თუ იმ მოსამსახურის დათხოვნის დროს შეეკითხონ მისს ამხანაგებსაც, მარტო საბჭოს ნუ ექმნება უფლება მოსამსახურის დათხოვნისა. 5) მოსამსახურეებს მიეცეთ ბინა, შუქი და ნავთი. 6) წელიწადში ერთი თვის თავისუფლება მიეცეს. 7) მოსამსახურეთა შტატი გაფართოვდეს. 8) მოსამსახურენი დაზღვეულ იქმნენ. 9) დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნეს ის მოსამსახურე, რომელიც ამხანაგების წრიდან იქნება გამორიცხული. 10) შტატის შემოკლებისათვის დათხოვნილს მოსამსახურეს მიეცეს ექვსი თვის ჯამაგირი, თუ მას სამი წელიწადი უმსახურნია საბჭოს დაწესებულებაში, და სხვა...

24 იმ თვეს საბჭომ შეკრიბა ყველა თავისი მოსამსახურეები და გამოუცხადა, — რომ მრეწველთა მომავალ საზოგადო კრებაზე ვიშუამდგომლებ, რომ თხოვნა შეგისრულონო.

გ. ნანელი.

—

ფოთი. ფოთელ ავაზაკებს და ქურდ-ბაცაცებს „განკიცხვისა და განსამართლების დღე“ დაუდგათ. ადგილობრივ მცხოვრებთა და მუშათა კლასს თვითმოქმედების სურვილი აქაც აღძრა და პირველი თავისი იერიში ქურდებზე მიიტანა: დაიჭერენ თუ არა რომელსამე ქურდს, ყველა ქუჩებში დაატარებენ და შემდეგ მოპარულ ნივთებს თავის ხელითვე პატრონთან მიატანინებენ. ერთმანეთს შორის კი სიტყვა აქვთ დადებული, ქურდი და ავაზაკი არ დაზოგონ. ეს ახლად გამოგონილი სისტემა ძლიერ კარგი საშუალებაა ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად და უკვე რამდენიმე ქურდ-ბაცაცას გაჩენის დღე აწყევლინა. მაგალითად, კვირას, 6 მარტს, ქურდებმა აჭარ ვაჭარ თურქიას დუქანზედ მიიტანეს იერიში; გაიტაცეს ვექსილები, ფული და სხვა ბევრი ნივთები. მეორე დღეს ეს ამბავი ელექტრონის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს; ხალხი დატრიალდა, დაუწყო ძიება და მეორე დღესვე იპოვა ქურდები ნაპარავიანად.

ერთ დღეს შუაგულ ბაზარში ჩამოატარეს სამი კაცი, რომლებსაც ზამბა მოეპარათ ამას წინად ნავთსადგურის საქონლის საწყობიდან, და „მე ვარ ქურდის“ ძახილით მთელი ქალაქი შემოატარეს. აურებელი ხალხი დასდევდა უკან და სულ „ქურდი, ქურდის“ ძახილით სამივეს ყურები გამოუჭედეს. 8 ამ თვეს სულ სხვა სურათს ნახავდით ქუჩაში. მოჰყავდათ ძროხის ქურდი, თავზე ძროხას რქები ჰქონდა გაკეთებული და იძახოდა: „მე ვარ ქურდიო“! ძალა უნებურად გეცინებოდათ, როდესაც დაინახავდით ამგვარ კომიკურ სურათს. ოთხშაბათს, 9 მარტსაც, ჩამოატარეს ერთი ქურდი, რომელსაც ხერხი მოეპარა. ამრიგად ამ ახლად შემოღებულის კანონის ძალით, ყოველ დღე ასამართლებენ ქურდებს. სხვა ბევრი სასარგებლო და საკეთილდღეო საქმის გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ რას იზამს კაცი, როდესაც თავის ანაბარა არ არის.

ს. ზენობნიელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

14 მარტი.

პეტერბურგი. კიდევ მოიყვანეს შორეულ აღმოსავლეთიდან დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცები. სულ ომის დასაწყისიდან მოიყვანეს პეტერბურგში 1464 დაჭრილი, ავადმყოფი.

ტოკიო. მიკადოს ბრძანებით, ნებადართულია გამოიცეს გარეშე სესხი 300 მილიონ იენისა. 1905 წლისათვის გადაიდება 130 მილიონი. სესხს არა დააბრკოლებს-რა, რადგან იაპონელ ბანკირებმა ამას წინად 100 მილიონ იენის განაღდების სურვილი განაცხადეს.

ტოკიო, 13 მარტი. სამხედრო კორესპონდენტები, მუკდენში შეპყრობილნი და ამას წინად შიღუსკს მიყვანილნი, დღეს გაანთავისუფლეს.

შანჰაი. იაპონელებმა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობეს, რომ ჯარიდან ლტოლვილი რუსები ლიაოხეს დასავლეთად იმალებიან. ნაბრძანებია დაიჭირონ და გასცენ. ჩინელები იუწყებიან, მრავალი რუსი, რომლებსაც ლიაოხეს დასავლეთ ნაპირისაკენ გზა გადაუჭრეს, სცდილობს შანჰაიგუანს მიაღწიოს. იუანშიკაიმ ჯარს ბრძანება მისცა ძალიან ფხიზლად იყოს.

ტოკიო, 13 მარტი. ოფიციალურად იუწყებიან, რუსებმა ხოინ შიანიდან გოლუნ შესკენ დაიწიეს. რუსების კავალერიის ერთი ესკადრონი ცინხუან შიხეშია. გირინის გზაზე რუსეთის ჯარის მხოლოდ მცირე რაზმები მოჩანს. ადგილობრივი მცოვრებნი იუწყებიან, რომ ტიშენკოუში რუსების 200 კავალერისტი სდგას, 600 ქვეითა ჯარის-კაცი და კავალერია ტაოლუში იმყოფებაო. მუკდენში დატყვევებული არა-სამხედრო აწოდები 420 კაცი განთავისუფლებულ იქმნა. 344 კაცი თვისის სურვილით სამხრეთს გაიგზავნა და განთავისუფლებულ იქმნებიან ჩიფუსა ანუ შანჰაიში.

პორტ საიდი, 13 მარტი. მოვიდა რუსეთის ტრანსპორტი „ლივონია“ და ვლადივოსტოკს გაემგზავრა.

ტოკიო, 13 მარტი. მოვიდა მუკდენში დატყვევებულ რუსების პირველი პარტია. დემონსტრაცია არა ყოფილა.

ტოკიო, 11 მარტი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ იაპონელთა მოწინავე ჯარები მუკდენის ჩრდილოეთით რკინის გზის ორთავ მხრით მუკდენის ჩრდილოეთად ას მილის სიშორეზე არიანო. ლიაოხეს მიდამოებიდან რუსები მთლად განდევნეს. მუკდენში დატყვევებულ არა მეომარ რუსთაგან იაპონელებმა გაანთავისუფლეს 421 კაცი, მათში 47 მოხელე, 9 სათნოების და.

ტოკიო, 13 მარტი. 4% შინაგან სესხზე ხელის მოწერა გუშინ დაიწყო. სამეფო კარმა ხელი მოაწერა 20 მილიონ იენზე. იაპონელებმა ამოიღეს პორტ-არტურთან ჩაძირული რუსების სატრანსპორტო გემი.

სანდაკანი, 10 მარტი. იაპონელთა ჯავშნოსნები „კასაკი“, „ჩიტოზე“ და მათი დამხმარე „ამერიკამარუ“ და „იამატამარუ“ დოვას უფროსობით 5 მარტს ლაბუანში მოვიდნენ და 6 მარტს წავიდნენ.

სიდნეი, 13 მარტი. რვა გემს ამზადებენ ჰონგკონგში 10000 ცხენის გადასაყვანად, რომლებიც იაპონიის მთავრობამ იყიდა. პირველი გემი ორი კვირის შემდეგ წავა.

კობე. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი ებაასა ამერიკელ აფიცრებს: პოლკოვნიკ გოვარდსა და კაპიტან იუდსონს, რომლებიც იაპონელებმა დაატყვევეს მუკდენთან 25 თებერვალს. აფიცრებმა სთქვეს რომ 28 თებერვალს არც კი იცოდნენ, თუ უკანდაწევა აუცილებელი იყო. ბევრს კორესპონდენტს შუაღამისას ეუწყა, რომ უკანასკნელ მატარებლით მუკდენიდგან წასულიყვნენ. ზოგი გათენებისას წავიდა, იუდსონი კი უქეიფობის გამო დარჩა. მოვარდი მასთან ცხოვრობდა და არც მაშინ მოშორდა. 25 თებერვალს უკანა რაზმებს დიდი ბრძოლა ჰქონდათ. დილით ადრე იაპონელებმა ქალაქი აიღეს, რომელიც შედარებით ცოტად დაზიანდა; ამისი მიზეზი ის არის, რომ მიკადომ ბრძანა, ქალაქს გაუფრთხილდით, ზარბაზნის სროლით ნუ აიკლებთო. იმპერატორთა აკლდამებიც ხელუხლებელია. გერმანელი და ბერძენი ვაჭრები ისევ ვაჭრობენ ქალაქში. კორესპონდენტები ლიტლი, ბარონ კრიგლშტეინი, ნოდო და მაკ-კულანი დღეს აქ მოვიდნენ, თან კავალერიის უნტერ-აფიცერი მოჰყვა. იმათი სთქვეს, კარგად გვეპყრობოდნენო. იმათ შიკუსკას გზავნიან დარაჯითურთ. კორესპონდენტებს უკვირთ, რომ დროებით მშვიდობიანობა არ ითხოვეს და ზავზე მოლაპარაკება არ დაიწყესო. სამი დღის ბრძოლა რუსების მარჯვენა ფრთაზე მეტად მედგარი იყო. მრავალი სოფელი ხან ერთს მხარესა რჩებოდა, ხან მეორეს. უკან დაწევას არავინ მოელოდა და უცებ კუროპატკინის ბრძანება მოვიდა. სამხედრო კორესპონდენტები ამბობენ, რუსეთის ლაშქარში მეფურად გვეპყრობოდნენო.

კოპენჰაგენ. ოფიციალური გამოცხადებულია, რომ მეფე ედუარდი მეფე ქრისტიანს ეწვევა 25 მარტს. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან არავინ არ მოელოდა; ეტყობა, ერთბაშად რაღაც გადაუწყვეტიათ. მთავრობასთან დაახლოვებული პირები ამბობენ, საქმე შეეხება მშვიდობიანობის აღდგენას შორეულ აღმოსავლეთშიო. მეფე ედუარდის მოსვლის ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია დანიაში. ზავზედაც ლაპარაკობენ. მეფე ედუარდს, როგორც დიდად პატივცემულსა და გამოჩენილ სახელმწიფო ნიჭისა და სახელის პატრონს, შეუძლიან დიდი გავლენა იქონიოს ამ საქმის დასამთავრებლად.

ტოკიო ზავის გამო მითქმა-მოთქმას იაპონელები ყურადღებას არ აქცევენ. იმათი ფიქრი და მეცადინეობა იმაზეა მიპყრობილი, რომ გაჟლიტონ ეხლანდელ აურებელ მსხვერპლს და მით შემდეგში რუსეთის აგრესიულ პოლიტიკისაგან უზრუნველიყვნენ. — ოფიციალურად იუწყებიან, იაპონელები გადასცდნენ ყველა ხელოვნურად გაკეთებულ ლობე-თხრილებს და ფრთებ-გაშლილად წინ მოდიან რკინის გზის ორთავ მხარეს. მოწინავე რაზმებმა მუკდენიდგან ასის მილის მანძილი გაიარეს. რუსებმა სრულიად დასცალეს ლიაოხეს მიდამოები. პორტ-არტურში ჩაძირული 1200 ტონიანი სატრანსპორტო გემი დღეს ამოიღეს, ორის კვირის მეცადინეობის შემდეგ. ამბობენ, როდესაც რუსების დანაკარგის რიცხვს ფუშუნის რაიონის დანაკარგსაც მიუმატებენ, რუსების დანაკარგი 20,000-ით მეტი აღმოჩნდებაო. ჰფიქრობენ, რუსების ლაშქარში საერთოდ მშველელი რაზმებიც რომ მიემატოს, მომავალ თვეს, დაახლოვებით, 130,000 მეომარი იქნებაო.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის დეპეშა 13 მარტს 1905 წ.: „ლაშქრებიდან ღამე ცნობა არ მომსვლია“.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება, მარტის 10 გამოცხადებული: მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდ მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მეუღლეს, მას იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავრინას ელისაბედ მავრიკის ასულს ეყოლა ქალი, ნატალიად წოდებული. ვუბრძანებთ უმართებულეს სენატს, განკარგულება მოახდინოს, რათა აწ დაბადებული მთავრინა როგორც იმპერატორის შთამომავალი, იწოდებოდეს მის უმაღლესობად. ნამდვილზე მის უდიდებულესობის საკუთარ ხელით აწერია: **ნიკოლოზ**. ცარსკოე სელო, 10 მარტი 1905 წ.

ლონდონი, 13 მარტი. ტოკიოდან დეპეშებით იუწყებიან, იაპონური გაზეთები მტკიცე პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტა, იაპონელებს აუკრძალოს ამერიკის ქვეშევრდომობა. ეს ღონისძიება გაზეთებს მიაჩნიათ იაპონიის დამცირებად, რომელიც თავის თავს დაბალ ტომად აღარა სთვლის.

ტანჟერი, 13 მარტი. მაროკკოს სულთანმა თავის წარმომადგენლად თავისი ბიძა მულეი-აბდელმალეკი დანიშნა და დაავალა, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად იმპერატორს სალამი გადასცეს.

შერბური. რუსეთის ერთ პატარა სოფლის მცხოვრებნი, 130 სულამდე, აქ მოვიდნენ და ბუენოს-აირესში აპირობენ გადასახლებას; თან მღვდელი წამოუყვანიათ.

რომი. „ტრიბუნა“ იუწყება, იმპერატორი ვილჰელმი 23 მარტს ნეაპოლს მოვა და სამს დღეს დარჩებაო. ამის შემდეგ იმპერატორი იმპერატრიცას შეხვდება სიცილიაში. გაზეთს ჰგონია, იმპერატორი და იტალიის მეფე ერთმანეთს ნეაპოლში ინახულებენ.

ვარშავა, 13 მარტი. საღამოს 8 საათ. 15 წ. პრაგის უბნის ყაზარმებში უცნობმა ყუმბარა შეასროლა, რომლითაც 4 პოლიციის მოხელე ორი უცხო და თითონ მსროლელიც დაიჭრა. ბოროტ-მოქმედი დაიჭირეს. ობერ-პოლიცმეისტერი ნოლკენი საჩქაროდ მოვიდა იმ ადგილს. გზაზე იმასაც ყუმბარა ესროლეს. ნოლკენი მძიმედ დაიჭრა პირსა და მარჯვენა ფეხში. ყუმბარის გადამგდებიც დაიჭრა, ხოლო გაიქცა და უკან მიმდევარი პოლიციელი მოჰკლა. მერე დაეწივნენ, დაიჭირეს და სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

ლაგოდეხიდან, ამხანაგობის „შრომის“ (კ. აფრიკიანის) სანერგეებიდან, ჩამოტანილია 1–3 წლის **ხეხილები** და სხვადასხვა ჯიშის **ხეხილის ნერგები**. იყიდება ტფილისსა და გორში. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისში — „მელიქ ბახტამიანცისა და ამხ.“-ის მაღაზიას, პუშკინის ქუჩაზე, გორში — კ. აფრიკიანს. (6—3)

სპობს სრულებით შეუწუხებლად **ბებერას, მეჭეჭებს, ლაქებს, ხელის და ფეხის ოფლს** და ბრჩხილების ზრდას სისწორეს აძლევს **ი. სილნიცკი**, პუშკინის პასაჟი № 20.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში,

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 марта 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.